საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი
1982

ივნისი **№ 6** ИЮНЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1982

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ვ. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 27/V-82 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/IX-82 წ.;
ანაწყობის ზომა $6^1/_4 \times 9^1/_4$; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,50

შეკვ. № 369 უე 05737 ტირაჟი 6000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7
Типография Министерства просвещения ГССР, ул. Нуцубидзе № 7

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# РЕШЕНИЕ
# КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

**Об изучении в общеобразовательных школах и учреждениях народного образования республики Письма ЦК КП Грузии коммунистам, всем трудящимся Советской Грузии в связи с 10-летием Постановления ЦК КПСС по Тбилисскому горкому партии**

**25 марта 1982 года**

10 лет прошло со дня принятия исторического для нашей республики документа — Постановления ЦК КПСС «Об организаторской и политической работе Тбилисского горкома Компартии Грузии по выполнению решений XXVI съезда КПСС».

Настоящее Постановление глубоко осветив отрицательные явления, имеющие место не только в столице, но и в других регионах республики, мобилизовало коммунистов и трудящихся Грузии на тщательное осмысление программных требований Постановления и разработку кардинальных мер на успешное решение задач коммунистического строительства.

За истекший период ход выполнения постановления по Тбилисскому горкому партии неоднократно обсуждался на республиканских партийных съездах, пленумах, активах, что позволяло своевременно проанализировать результаты достигнутого, наметить новые рубежи.

Исключительны были поддержка и внимание со стороны Центрального Комитета КПСС, принявшего за минувшее десятилетие ряд постановлений, связанных с совершенствованием организаторской и политической работы партийной организации Грузии, с экономическим и социальным развитием как республики в целом, так и ее регионов.

Все это послужило источником успешного претворения в жизнь задач, выдвинутых постановлением, заметно содействовало оздоровлению обстановки в республике.

Значительные успехи, достигнутые за последние годы, нашли свое отражение в системе просвещения.

В республике выросла сеть школ и внешкольных учреждений, укрепилась их материально-техническая база; улучшилось качество обучения и образования учащихся, завершен окончательный переход к обязательному среднему образованию, усовершенствованы учебные программы.

Действеннее стали решаться в школе вопросы идеологической и политико-воспитательной работы. Эффективнее осуществляются задачи нравственного становления личности подростка, выработки у них коммунистических взглядов и убеждений, трудовых и профессиональных навыков, формирования активной жизненной позиции.

Улучшилась работа с педагогическими кадрами по повышению их профессионального мастерства и идейно-политической подготовки.

Возрос полезный потенциал педагогических научных и методических служб.

Положительные результаты дала, объявленная в учреждениях просвещения, борьба с любыми проявлениями негативных явлений — формализмом, взяточничеством, протекционизмом. Создалась определнная система профилактики и борьбы с правонарушениями со стороны несовершеннолетних.

Регулярно обсуждаемые на коллегии Министерства просвещения актуальные вопросы, оперативное доведение принятых решений до мест, четкая система контроля по их неукоснительному выполнению, позволяли своевременно вскрыть имеющие недостатки, выявить причины, их порождающие, наметить конкретные меры по их устранению.

По-деловому и принципиально обсуждались в общеобразовательных школах республики, органах народного образования решения коллегии Минпроса по таким вопросам, как: «О серьезных нарушениях правил оценки знаний учащихся и выдачи аттестатов выпускникам общеобразовательных средних школ республики», «О борьбе за упрочение социалистической дисциплины и искоренение негативных явлений в работе органов народного образования и общеобразовательных школ» и другие.

Широкий отклик получило Письмо Министерства просвещения ГССР ко всем учителям республики и работникам системы народного образования «О дальнейшем усилении бескомпромиссной борьбы за укрепление социалистической дисциплины и искоренение негативных явлений в школьной жизни».

Своевременным и необходимым явилось совместное постановление бюро ЦК ЛКСМ Грузии и коллегии Министерства просвещения ГССР «О случаях формализма в воспитательной работе в общеобразовательных школах и мерах по решительному усилению борьбы за их искоренение».

Вскрытие просчетов и промахов, при явно имеющих позитивных сдвигах в области народного образования республики,

убеждает что предстоит срелать еще многое для закрепления и умножения достигнутого.

Свидетельством тому — новый важнейший документ — Письмо Центрального Комитета Компартии Грузии коммунистам, всем трудящимся Советской Грузии в связи с 10-летием постановления ЦК КПСС по Тбилисскому горкому партии.

В принятом на V пленуме Компартии Грузии 2 матра 1982 года Письме, дан глубокий анализ положительных изменений, происшедших в экономической, социальной, политической и духовной жизни республики, отмечен ряд, все еще не изжитых недостатков, на искоренение которых должны быть сконцентрированы усилия партийных организаций, каждого коммуниста, каждого труженика.

Именно поэтому так важно, чтобы содержание письма, задачи, поставленные в нем, стали предметом самого глубокого самого принципиального обсуждения в республике. И тем более важно обеспечить его тщательное изучение в общеобразовательных школах, во всех службах просвещения, ведь именно школа готовит тех, кому строить завтрашний день Родины и войти в него они должны образованными, политически и нравственно зрелыми, объединенными единым стремлением сделать свой край богаче, краше, могучее.

Коллегия Министерства просвещения Грузинской ССР

**решает:**

1. Министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделам народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, Управлению народного образования г. Тбилиси:

1. 1. В своей повседневной деятельности неуклонно руководствоваться основными положениями и выводами, сформулированными в Письме ЦК Компартии Грузии коммунистам, всем трудящимся Советской Грузии в связи с 10-летием постановления ЦК КПСС по Тбилисскому горкому партии, тесно увязывая их с решениями задач, выдвинутых XXVI съездом КП Грузии и XXVI съездом КПСС.

1. 2. Обеспечить в период до конца учебного года, тщательное изучение содержания настоящего Письма во всех звеньях системы народного образования республики.

1. 3. Особое внимание обратить на изучение Письма ЦК КП

Грузии среди учащихся общеобразовательных школ республики с использованием при этом многообразия форм и методов урочной и внеурочной работы.

При прохождении программного материала в I-X(XI) классах в целях ознакомления учащихся с положениями и выводами Письма, широко использовать возможности предоставляемые предметами общественных и гуманитарных дисциплин для разъяснения роли партии в осуществлении социально-экономических преобразований происшедших в республике, дальнейшего развития грузинской науки, просвещения и культуры, значительного прогресса достигнутого в последнее десятилетие во всех отраслях народного хозяйства.

Рекомендуется, с учетом возрастных особенностей, провести в урочное время:

— в I-III классах беседы на следующие темы: «Мы дружбой ленинской сильны», «Самоотверженный труд — основа нашего благосостояния».

— в IV классе, при прохождении тем о коммунистическом строительстве отводится 1 специальный урок за счет истории по следующим темам:

«Этапы борьбы и свершений».

«Историческое значение Георгиевского трактата».

«Партия ведет нас к победам».

— в V-VI классах рекомендуется провести специальные беседы в урочное время (за счет уроков истории) по следующим примерным темам:

«Заветам Ленина верны»

«И в труде и в бою есть место подвигу».

«Быть коммунистом — значит быть всегда впереди».

— в VII-VIII классах рекомендуется провести I специальное занятие (за счет уроков истории или основ Советского государства и права). Учитывая программный материал целесообразно провести занятия по следующим темам:

«200 летие Георгиевского трактата».

«Дружба зародившаяся в совместной борьбе».

«Я гражданин Советского Союза».

В IX-X(XI) классах изучению содержания Письма отводится по два академических часа (за счет уроков истории и обществоведения), которые осуществляются в процессе прохождения соответствующих тем курсов истории СССР и обществоведения. «60-летие создания СССР», «Постановление ЦК КПСС от 22 февраля 1972 года «Об организаторской и политической работе Тби-

лисского горкома КП Грузии по претворению в жизнь решений XXIV съезда КПСС, его цели и значение». «Достижение народного хозяйства Грузии в 1971—1981 гг.». «Основные задачи третьего решающего этапа по претворению в жизнь постановлений ЦК КПСС по Грузинской ССР и ее партийной организаций «Руководящая и организаторская роль ЦК КП Грузии по претворению в жизнь постановлений ЦК КПСС по Тбилисскому горкому партии».

При изучении материалов письма во внеурочное время:

— проводить общественные чтения, беседы, лекции, вечера вопросов и ответов, диспуты, конференции;

— организовать экскурсии на предприятия, учреждения, новостройки и сельскохозяйственные объекты, устраивать встречи с передовиками труда, лучщими представителями различных профессий, чей доблестный труд — яркое свидетельство энтузиазма и творческого поиска;

— привлекать учащихся к оформлению тематических стендов и выставок, подготовке рефератов, сообщений и докладов, свидетельствующих о достижениях республики в строительстве коммунизма;

— широко практиковать встречи учащихся с представителями партийного и советского актива, живое слово которых поможет учащимся понять и осознать организующую и направляющую роль партии в решении общенародных задач.

1. 4. При изучении и пропаганде материалов Письма обеспечить активное вовлечение учащихся в общественно-политическую и трудовую деятельность, способствующую идейно-нравственному становлению личности школьника, формированию его активной жизненной позиции.

Заострить внимание на широком привлечении школьников к участию в экономической политике партии, продовольственной программе, действенно используя объявленные в школах трудовые акции «Пятилетка пионерских трудовых дел», «Поход бережливых» и др.

Усилить работу по интернациональному воспитанию учащихся, формированию у них интернациональных убеждений и взглядов, чуства гордости за социалистическое Отечество и братской дружбы народов СССР.

Действенно использовать в этих целях подготовку к предстоящему знаменательному юбилею — 60-летию образования СССР.

Ширить участие пионеров и школьников во Всесоюзном по-

ходе по местам революционной, боевой и трудовой славы советского народа, во Всесоюзной туристско-краеведческой экспедиции «Моя Родина — СССР», рождающих у школьников стремление продолжить славные героические и трудовые традиции старших поколений.

Обеспечить отражение результатов поисков в школьных музеях, залах, выставках.

1. 5. Развивать и совершенствовать работу по действенному привлечению родителей и общественности к воспитательной деятельности школы.

1. 6. Усилить бескомпромиссную борьбу с любыми проявлениями негативных явлений, делать их предметом принципиального и широкого обсуждения в коллективе.

2. Управлению школ (т. К. Суджашвили) внести в экзаменационные билеты по истории и обществоведению вопросы в соответствии с Письмом Центрального Комитета КП Грузии в связи с 10-летием Постановления ЦК КПСС по Тбилисскому горкому партии.

3. Редакциям республиканской педагогической прессы (т. т. А. Гогелия, Н. Швелидзе) систематически освещать на своих страницах вопросы, связанные с деятельностью школ и других учреждений народного образования по выполнению задач, выдвинутых в письме ЦК КП Грузии.

4. Центральному и другим институтам усовершенствования учителей (т. т. М. Дарчия, Д. Джулакидзе, Р. Ачба, А. Ишхнелидзе, Ш. Лохов, Д. Тодуа, Е. Апциаури, К. Микая) с учетом материалов Письма внести соответствующие коррективы в тематику курсов переподготовки различной категории педагогических кадров, заострив внимание на проблемных вопросах.

5. Республиканским научным и методическим службам (т. т. Г. Сакварелидзе, З. Рогава, Т. Мдивани) обеспечить выпуск научной и методической литературы по актуальным вопросам обучения и воспитания подрастающего поколения с учетом задач, поставленных в письме и решений, принятых XXVI съездом КП Грузии, XXVI съездом КПСС.

6. Контроль за исполнением настоящего решения возложить на Управление школ (тов. К. Суджашвили) и Управление воспитательной работы (тов. Э. Заркуа).

**Председатель колегии**

**Зам. Министра М. Кобахидзе**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1982 წლის 25 მარტის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის სკკპ 26-ე ყრილობის მასალების გასაცნობად პედაგოგიური კოლექტივების მიერ ჩატარებული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

განიხილა რა სკოლებისა და აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოების მიერ წარმოდგენილი მასალები, კოლეგია აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, პედაგოგიური კოლექტივები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან მოსწავლეთათვის სკკპ 26-ე ყრილობის მასალების, პარტიისა და მთავრობის მნიშვნელოვანი დოკუმენტების გასაცნობად, სსრკ განათლების სამინისტროს საინსტრუქციო-მეთოდური წერილის „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის სკკპ 26-ე ყრილობის მასალების გაცნობის შესახებ", აგრეთვე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ მომზადებული მეთოდური მითითებების, რეკომენდაციების სრული შესაბამისობით.

რესპუბლიკის ბევრ სკოლაში (თბილისის 98-ე — დირექტორი ლ. ადამია, 77-ე — დირექტორი გ. კობახიძე, ბათუმის მე-18 — დირექტორი ა. ბაკურაძე, მე-15 — დირექტორი ლ. პაქსაშვილი, ჩაქვის მე-2 — დირექტორი ი. აფხაზავა, ქუთაისის 34-ე — დირექტორი პ. მალანია, დიდი ლილოს — დირექტორი ა. ქარცივაძე, ქ. სოხუმის მე-10 — დირექტორი მ. გუბაზი, მე-14 — დირექტორი ტ. მალიგინა, ქ. ზუგდიდის მე-4 — დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გ. ფარცხვანია და სხვ.) მასწავლებლები საჭიროებისამებრ იყენებენ თავიანთი სასწავლო საგნების შესაძლებლობებს მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდისათვის, გაკვეთილებს ატარებენ მეთოდურად, გამართულად, სათანადო ყურადღებას უთმობენ შესწავლილი მასალის ცოდნის განმტკიცებას.

ამასთან, რესპუბლიკის ცალკეული რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებსა და შესაბამის მეთოდკაბინეტებს არ გაუტარებიათ ქმედითი ოპერატიული ღონისძიებები ზემოაღნიშნული წერილების, მეთოდური რეკომენდაციებისა და მითითებების სასკოლო პრაქტიკაში განსახორციელებლად.

მოსმენილი გაკვეთილების ანალიზებმა და ჩატარებული მუშაობის შემოწმებამ ცხადყო, რომ რიგ სკოლებში (მარნეულის მე-2 — დირექტორი ს. რაგიმოვი, 1-ლი რუსული — დირექტორი სტომატოვი, წყალტუბოს მე-4 რუსული — დირექტორი ი. ელეტინი, სოფელ მაღლაკის საშუალო სკოლა — დირექტორი ბ. შალამბერიძე და სხვ.) არ მიმდინარეობს მწყობრი, მიზანსწრაფული მუშაობა მოსწავლეთათვის სკკპ 26-ე ყრილობის მასალების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1981 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებების, დასავლეთგერმანულ ჟურნალ „შპიგელთან“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი .ბრეჟნევის ინტერვიუს, მისივე „მოგონებები“-სა და სხვა დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტების გასაცნობად.

მასწავლებლები: მ. მირზოევა (მარნეულის მე-2 საშუალო სკოლა), ს. კარტავენკო (მარნეულის 1-ლი რუსული საშუალო სკოლა), ა. კაკალაძე (ბობოყვათის 1-ლი საშუალო სკოლა), გ. ტერვარჟაპეტიანი (ბათუმის მე-18 საშუალო სკოლა), ჯ. ქარცხაია და ი. მახარაშვილი (ქუთაისის 27-ე საშუალო სკოლა), ნ. ფირცხალავა და ა. იოსელიანი (წყალტუბოს მე-2 საშუალო სკოლა), გ. ახრახაძე და ა. უტკინა (წყალტუბოს მე-4 საშუალო სკოლა) არ იცნობენ საინსტრუქციო-მეთოდურ წერილებს, რის შედეგადაც გაკვეთილებზე ვერ ამყარებენ უშუალო კავშირს პროგრამით გათვალისწინებულ საგაკვეთილო თემასა და ყრილობის მასალებს შორის, სასწავლო პროცესს წარმართავენ დუნედ, უინტერესოდ, გაკვეთილებზე ნაკლებად ან სრულიად არ იყენებენ მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივიზაციის სხვადასხვა საშუალებას, არა აქვთ თავიანთ საგნებში პროგრამულ საკითხებთან 26-ე ყრილობის მასალების დაკავშირების მიზნით შერჩეული თემები, ნაკლები ყურადღება ექცევა სკკპ 26-ე ყრილობის მასალების გაცნობის მიზნით კლასგარეშე და სკოლისგარეშე, აგრეთვე წრეობრივ და სხვა სახის მუშაობას. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის სკკპ 26-ე ყრილობის მასალების სწავლების გაუმჯობესების მიზნით კოლეგიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

1. 1. პერიოდულად, შემუშავებული გეგმის მიხედვით, შეამოწმონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სკკპ 26-ე ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის (1981 წ.) პლენუმის მასალების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის „მოგონებების“, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების სწავლების მდგომარეობა, რისთვისაც განუხრელად იხელმძღვანელონ სსრკ განათლების სამინისტროს საინსტრუქციო-მეთოდური წერილის „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის სკკპ 26-ე ყრილობის მასალების გაცნობის შესახებ“, აგრეთვე საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1981 წლის 31 მარტის № 226 ბრძანების „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 26-ე ყრილობის მასალების სწავლების შესახებ“ მოთხოვნებით.

1. 2. აღნიშნული ისტორიულ-პოლიტკიური მნიშვნელობის დოკუმენტების სწავლების საქმეში არსებული ნაკლოვანებები გახადონ კოლეგიებსა და სახალხო განათლების საბჭოებზე პრინციპული მსჯელობისა და განხილვის საგნად.

1. 3. მოაწყონ მოწინავე სკოლების, კლასის ხელმძღვანელების, საგნის მასწავლებლების, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მოწინავე გამოცდილების ფართო განზოგადება.

1. 4. ქმედითი ორგანიზატორული და მეთოდური დახმარება გაუწიონ ამ საქმეში ჩამორჩენილ სკოლებს, პედაგოგიურ კოლექტივებს, პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს.

2. სკოლის დირექტორებმა, სასწავლო-აღმზრდელობით დარგში დირექტორის მოადგილეებმა, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორებმა, უფროსმა პიონერხელმძღვანელებმა:

2. 1. დაუყოვნებლივ გადასინჯონ სკკპ 26-ე ყრილობისა და სხვა ისტორიულ--პოლიტიკური მნიშვნელობის მასალების სწავლების ღონისძიებათა გეგმები, შეიტანონ მუშაობის გაუმჯობესებისათვის აუცილებელი კორექტივები.

2. 2. შეამოწმონ თითოეული კლასის ხელმძღვანელის, საგნის მასწავლებლის ,უფროსი პიონერხელმძღვანელის, კლასის ხელმძღვანელთა და საგნის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებების, საგნობრივი წრეების მუშაობა. ნაკლოვანებათა გამოვლენის შემთხვევაში მიიღონ ქმედითი, ეფექტიანი ზომები მათ გამოსასწორებლად.

2. 3. პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის სწორად წარმართვის მიზნით მათ მიამაგრონ საქმის ღრმად მცოდნე, გამოცდილი კომუნისტი მასწავლებლები.

2. 4. მოსწავლეთათვის სკკპ 26-ე ყრილობის მასალების გაცნობის მიზნით გამოიყენონ მუშაობის ისეთი აქტიური ფორმები, როგორიცაა: თემატური დილა-საღამოები, სემინარები, კონკურსები, ვიქტორინები, ლექცია-საუბრები, შეხვედრები ყრილობის დელეგატებთან, ომისა და შრომის ვეტერანებთან, შეფი საწარმოების ხელმძღვანელებთან და სხვა.

2. 5. მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან მუშაობისას, გარდა საკუთარი ძალებისა, ფართოდ გამოიყენონ მოწვეული ლექტორები, რაიონის პარტიული აქტივი.

2. 6. საგნის მასწავლებელთა გაკვეთილების მოსმენისა და ანალიზის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ, როგორ იცავენ საგნის მასწავლებლები სსრკ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროების მიერ ადგილებზე დაშვებულ საინსტრუქციო-მეთოდურ მითითებებს, რეკომენდაციებს, როგორ ახერხებენ ძირითად პროგრამულ მასალასთან სკკპ 26-ე ყრილობის მასალების დაკავშირებას.

3. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი) აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოსთან ერთად (ამხ. ე. ზარქუა):

3. 1. სისტემატურად შეისწავლოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის მდგომარეობა. შემოწმების შედეგები განიხილოს სამმართველოს მუშაკთა თათბირებზე, საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს კოლეგიას.

3. 2. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად შეიმუშაოს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აღზრდის ისეთი ფორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ კომუნისტური აღზრდისადმი კომპლექსურ მიდგომას, გამორიცხავენ საქმისადმი ფორმალურ დამოკიდებულებას, როცა ერთნი იმედს ამყარებენ მხოლოდ სიტყვის, დარწმუნების მეთოდზე და სრულებით უგულებელყოფენ პრაქტიკის დიდ ძალას.

4. აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ (ამხ. ე. ზარქუა) შეისწავლოს სკოლის დირექტორებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მიერ პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების მდგომარეობა, მიიღოს ზომები ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

5. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი) საგამომცემლო გეგმაში გაითვალისწინოს ლიტერატურა მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის აქტუალურ საკითხებზე.

6. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი) და აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ (ამხ. ე. ზარქუა) სისტემატური კონტროლი დააწესონ ამ გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობაზე.

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრის მოადგილე** **მ. კობახიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახალხო განათლების ინსპექციის 1982 წლის 25 მარტის

## ინფორმაცია

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებში 1981 წლის მე-4 კვარტალში შემოსული მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შ ე ს ა ხ ე ბ

შემოწმებამ ცხადყო, რომ სამინისტროს აპარატის სამმართველო-განყოფილებებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს მოქალაქეთა მიღების, განცხადება-საჩივრების განხილვისა და მათზე პასუხის გაცემის მდგომარეობა.

1981 წლის IV კვარტალში შემოსული 688 განცხადება-საჩივრიდან უშუალოდ სამინისტროს აპარტის სამმართველო-განყოფილებების მიერ შესწავლილია 610. მათ შორის: 5 დღეში — 252, 15 დღეში — 188, 1 თვეში — 170.

მიუხედავად ჩატარებული გარკვეული მუშაობისა, სამინისტროს აპარატის ზოგიერთ სამმართველო-განყოფილებაში კვლავინდებურად ადგილი აქვს განცხადება-საჩივრების ზერელედ და, ზოგჯერ, შესწავლის ვადების დარღვევის შემთხვევებს.

ასე მაგალითად: საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში კონტროლზე აყვანილი და სამინისტროში გადმოგზავნილი თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ორბეთში მცხოვრებ ნ. წიკლაურის, ალთუნიშვილის და სხვათა განცხადება სოფელ ორბეთში სკოლის მშენებლობის შესახებ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ მიიღო გასული წლის 15 დეკემბერს. ცენტრალური კომიტეტი ითხოვდა პასუხს და განცხადების უკან დაბრუნებას. კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსმა ამხ. ბ. აფხაზავამ ცენტრალურ კომიტეტს პასუხი გაუგზავნა 49 დღის დაგვიანებით — მიმდინარე წლის 2 თებერვალს. განყოფილებაში არ აღმოჩნდა ამ განცხადების ავტორისათვის პასუხის გაცნობის რაიმე საბუთი, მაშინ როდესაც პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილ პასუხს აქვს მინაწერი — „აღნიშნული ეცნობა განმცხადებელს“.

ამავე განყოფილებამ მხოლოდ 43 დღის გასვლის შემდეგ უპასუხა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტიდან მიღებულ ქ. რუსთავში მცხოვრებ რ. მსუქნიშვილის და ბოგდანოვკის რაიონის სოფელ თორაში მცხოვრებ ა. სარუხიანის განცხადებებს სკოლის მშენებლობის შესახებ, თუმცა პასუხი ორივე შემთხვევაში შემოწმებას არ საჭიროებდა.

საგეგმო-საბიუჯეტო სამმართველომ ახმეტის რაიონის სოფელ ოსიაურის საშუალო სკოლის დირექტორის ს. გიორგიშვილის შეკითხვას

მისი მიღებიდან მხოლოდ 12 დღის შემდეგ — 1982 წლის 6 იანვარს უპასუხა, ხოლო ასპინძის რაიონია პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მასობრივი მუშაობის ორგანიზატორმა ს. ივანიძემ თავის შეკითხვაზე პასუხი მიიღო 29 დღის შემდეგ — მიმდინარე წლის 3 თებერვალს. ამავე სამმართველოდან ცაგერის რაიონის სოფელ ჩხუტელის სასკოლო ინტერნატის აღმზრდელ-მასწავლებლის ს. დაშნიანის შეკითხვაზე პასუხი გაიგზავნა 15 დღის შემდეგ — ა. წ. 6 იანვარს, ხოლო შუახევის რაიონის სოფელ უჩამბის მცხოვრებმა ნ. ქათამაძემ პასუხი მიიღო 20 დღის შემდეგ, ე. ი. გასული წლის 29 დეკემბერს. ქარელის რაიონის სოფელ აბანოში მცხოვრებ გ. სხირტლაძის შეკითხვას საგეგმო-საბიუჯეტო სამმართველომ პასუხი გასცა მხოლოდ 31 დღის გასვლის შემდეგ — გასული წლის 31 დეკემბერს. ზემოაღნიშნული შეკითხვები, ძირითადად, ეხებოდა ხელფასის ანაზღაურების საკითხს, რაზედაც პასუხის გაცემა, არსებული წესის მიხედვით, აუცილებელია არაუგვიანეს ერთ ან ორ დღეში.

ტყიბულის მე-2 საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელმა გ. სულაქველიძემ გასული წლის 8 დეკემბერს განცხდებით მიმართა საგეგმო-საბიუჯეტო სამმართველოს. მას აინტერესებდა, თუ რამდენად სამართლიანი იყო ბუღალტერიის მიერ მისთვის ნებადართულ საათებზე ზევით კვირაში ფაქტიურად ჩატარებული 2 საათის ანაზღაურების დაკავება. დასახელებულმა სამმართველომ განმცხადებელს ერთ ან ორ დღეში კი არ უპასუხა, არამედ 21 დღის შემდეგ — 29 დეკემბერს. საყურადღებოა, რომ პასუხს ხელს აწერს სამმართველოს უფროსი ამხ. ო. კერესელიძე. პასუხის შინაარსი ასეთია: „თქვენს განცხადებაზე გაცნობებთ, რომ მასწავლებელს სკოლაში შეიძლება ქონდეს პედაგოგიური დატვირთვა 27 საათის ოდენობით, ე. ი. 1,5 განაკვეთი.

აუცილებლობის შემთხვევაში გამონაკლისი შეუძლია დაუშვას განათლების განყოფილებამ“.

ვფიქრობთ, რომ პასუხი უფრო კონკრეტული და დაზუსტებული უნდა ყოფილიყო. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ განმცხადებლისათვის კვლავ რებუსად დარჩა საკითხი განაკვეთზე ზევით ფაქტიურად ჩატარებული 2 საათის ანაზღაურების შესახებ.

საგეგმო-საბიუჯეტო სამმართველოში ადგილი აქვს განცხადებებისა და შეკითხვების სამინისტროს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში ერთი ან ორი დღის ნაცვლად დაგვიანებით გადაგზავნის შემთხვევებს. ასე მაგალითად: ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონში მცხოვრებ ნ. ბეჭვაიას და ქუთაისში მცხოვრებ ლ. ხურციძის განცხადებები ხელფასის ანაზღაურებასთან დაკავშირებით 10 დღის შემდეგ — 1981 წლის 10 დეკემბერს გადაეგზავნა შესაბამის განათლების განყოფილებებს. საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთის საშუალო სკოლის მასწავლებელ ვ. ტაბატაძის განცხადება დადგენილ ნორმაზე ზევით საათების მომატე-

ბის შესახებ სამმართველომ 21 დღის შემდეგ — გასული წლის 29 დეკემბერს გადაუგზავნა განათლების განყოფილებას.

ბოგდანოვკის რაიონის სოფელ თორში მცხოვრებ მ. დარბინინის განცხადება პენსიის დანიშვნის შესახებ სამართველომ მხოლოდ 21 დღის შემდეგ გადაუგზავნა განათლების მუშაკთა რესპუბლიკურ პროფკავშირს. ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაფიჩხოოს საშუალო სკოლის მასწავლებელ პაპავას განცხადება საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურების შესახებ და ქუთაისში მცხოვრებ ლ. ხურციძის განცხადება ხელფასის საკითხის მოწესრიგების შესახებ სამმართველომ განათლების მუშაკთა რესპუბლიკურ პროფკავშირს გადაუგზავნა მხოლოდ 11 დღის შემდეგ.

თბილისში მცხოვრებ მოქ. ნ. საგინაშვილის განცხადება მოსწავლეთა საქალაქო შემოქმედებითი ოლიმპიადის ჟიურის მუშაობაში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც სამინისტროში გასული წლის 3 დეკემბერს შემოვიდა, და თეთრიწყაროს რაიონში მცხოვრებ მოქ. ა. ლაზარიაშვილის განცხადება მისი შვილის მკვლელობასთან დაკავშირებით ,რომელიც სამინისტრომ გასული წლის 15 დეკემბერს მიიღო, დღემდე განმცხადებლისათვის პასუხის ან შუალედური პასუხის გაცემის გარეშე ინახება აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოში.

შემოწმების დღეს, 16 თებერვალს, გაეცა პასუხი კადრების სამმართველოში გასული წლის 24 დეკემბერს გაზეთ „კომუნისტის" რედაქციიდან შემოსულ ტყიბულში მცხოვრებ მოქ. მ. ბასილაძის განცხადებას მისი სამუშაოზე მოწყობის შესახებ. ამავე სამმართველოში მხოლოდ შემოწმების დღეს გაეცა პასუხი გასული წლის 8 დეკემბერს შემოსულ მოქ .ბ. ქარცივაძისა და 15 დეკემბერს შემოსულ მოქ. ე. ქურდაძის განცხადებებს.

აღსანიშნავია, რომ სკოლების სამმართველომ თვითონ შეამოწმა განცხადება-საჩივრებზე მუშაობის მდგომარეობა და 1982 წლის 16 მარტს ეს საკითხი სპეციალურად განიხილა პარტიის ღია კრებაზე. კრებამ მკაცრად გააფრთხილა ყველა ის მუშაკი, რომელსაც დარღვევები ქონდა შესრულების ვადებში.

**სახალხო განათლების ინსპექცია**

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡ 1982 ᲬᲚᲘᲡ 25 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

### ქ. ზუგდიდში, ზუგდიდისა და სიღნაღის რაიონებში მასწავლებელთა ატესტაციის მეორე ციკლის მიმდინარეობის შ ე ს ა ხ ე ბ

კოლეგია აღნიშნავს, რომ ატესტაცია თვალსაჩინო როლს ასრულებს მასწავლებელთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების, პედაგოგიური ოსტატობისა და შემოქმედებითი ინიციატივის მუდმივი ზრდის, მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის გაუმჯობესების საქმეში. სისტემის მუშაკებს 1975 წლის შემდგომ პერიოდში საკმაო გამოცდილება დაუგროვდათ ატესტაციის სრულყოფილად ჩატარებისათვის.

ქ. ზუგდიდის, ზუგდიდისა და სიღნაღის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები (ამხ. ამხ. მ. ქავთარაძე, ნ. კალანდია, რ. ბეჟაშვილი) სერიოზულ მუშაობას ატარებენ მასწავლებელთა ატესტაციის მეორე ციკლის წარმატებით ჩატარებისათვის. უმეტეს შემთხვევაში ატესტაციას წინ უძღოდა მასწავლებელთა კადრების შემადგენლობის განმტკიცების ღონისძიებანი: პედაგოგიური კითხვების მოწყობა, ღია გაკვეთილების ჩატარება და მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადება, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე გაგზავნა; ადგილებზე მოწყობილია საატესტაციო კუთხეები, მასწავლებელთა ატესტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე სისტემატურად ტარდება სემინარები, საუბრები და ა. შ.

სახალხო განათლების განყოფილებებში დებულების მიხედვით შექმნილია მუშა ჯგუფები პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. საატესტაციო დახასიათებების შედგენა, ძირითადად, ხდება საინსპექტორო შემოწმების საფუძველზე. განათლების განყოფილებათა მუშაკები, მუშა ჯგუფის წევრები მიმაგრებული არიან სკოლებზე ზონების მიხედვით და აქტიურ მონაწილეობას იღებენ საატესტაციო მასალების განხილვაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქ. ზუგდიდის, ზუგდიდისა და სიღნაღის რაიონების განათლების განყოფილებების თანამშრომლების, საატესტაციო საქმების წარმოებაზე მიმაგრებული ამხანაგების ქ. სიგუას, ო. ქარჩავას და ი. შოშიაშვილის ნაყოფიერი მუშაობა. დასახელებული ქალაქისა და რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა საატესტაციო დახასიათებები შედგენილია სკოლის ხელმძღვანელთა მიერ მოსმენილი გაკვეთილების გაანალიზების საფუძველზე, განათლების განყოფილებების მიერ ჩატარებული ინსპექტირების მონაცემების გათვალისწინებით.

სიღნაღის რაიონის განათლების განყოფილება გეგმიურად ახდენს სკოლების ფრონტალურ შემოწმებას, შედეგებს აცნობს პედაგოგიურ საბჭოს და 3-4 შემოწმებული სკოლის საატესტაციო მასალებს იხილავს

მუშა ჯგუფის სხდომაზე. საყურადღებოა, რომ მასალების განხილვაში, განყოფილების თანამშრომლებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობენ მოწინავე მასწავლებლები, შტატგარეშე ინსპექტორ-მეთოდისტები, რომლებიც თავიანთი სპეციალობის მიხედვით საფუძვლიანად იცნობენ რაიონში მომუშავე თითქმის ყველა მასწავლებლის მუშაობას.

ზუგდიდის რაიონში სასწავლო დისციპლინების მიხედვით შექმნილია მოწინავე მასწავლებელთა ჯგუფები, რომლებიც განათლების განყოფილების თანამშრომელთა ხელმძღვანელობით ახდენენ მასწავლებელთა მუშაობის შემოწმებას. სკოლის ხელმძღვანელები ითვალისწინებენ მათ მოსაზრებებს და წინადადებებს საატესტაციო დახასიათებების შედგენისას.

განათლების განყოფილებებისა და მეთოდური კაბინეტების სამუშაო გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი მასწავლებელთა ატესტაციის საკითხებს. მათში გათვალისწინებულია იმ მასწავლებელთა ატესტაციაში გატარება, რომლებსაც არ გაუვლიათ ატესტაცია, მოწინავეთა მუშაობის გამოცდილების განზოგადება, რეკომენდაციამიცემულ მასწავლებელთა შორის სათანადო მუშაობის გაშლა, კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ზრუნვა და სხვა. განათლების განყოფილებებში, აგრეთვე, სათანადო მუშაობა ტარდება გეგმებში გათვალისწინებული საკითხების შესასრულებლად.

მიუხედავად აღნიშნულისა, ატესტაციის მეორე ციკლის მიმდინარეობა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებით ხასიათდება. სახალხო განათლების განყოფილებები, განსაკუთრებით სკოლის დირექციები ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მოწინავე მასწავლებელთა გამოვლენას, მათი მუშაობის ობიექტურად შეფასებას და წასახალისებლად წარდგენას. სწორედ ამითაა გამოწვეული, რომ არ სრულდება სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1981 წლის 30 ივლისის № 195—179 (14)05 სახელმძღვანელო მითითება „ატესტაციის შედეგების მიხედვით „უფროსი მასწავლებლისა“ და „მასწავლებელ-მეთოდისტის“ წოდებათა მისანიჭებელ მასწავლებელთა რაოდენობის გაზრდის შესახებ“. შემოწმებულ რაიონებში სანახევროდაც არ სრულდება წასახალისებლად მასწავლებლების შერჩევის დაწესებული ნორმები, რაც ძირითადად ხელმძღვანელ მუშაკთა არასაკმაო დახმარებისა და კონტროლის დაბალი დონით აიხსნება.

ზერელედ არის შედგენილი ქ. ზუგდიდის მე-3 საშუალო სკოლასა და სკოლა-ინტერნატში მასწავლებელთა საატესტაციო დახასიათებები (დირექტორები კ. თურქია, დ. დაკარგულია). მასწავლებლების — ს. გაბელიას, ნ. ბუკიას, ნ. გვალიას, ნ. ალანიას და სხვათა საატესტაციო დახასიათებები უვარგისია. დახასიათებათა დასაწყისში გამეორებულია ანკეტური მონაცემები და ისინი არ ასახავს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პროცესში მასწავლებელთა მიერ გაწეულ მუშაობასა და მოპოვებულ შედეგებს.



ქ. მარქსის სახ.

ატესტაციის სამზადისი დაბალ დონეზე მიმდინარეობდა ზუგდიდის რაიონის ცალკეულ სკოლებში. შემოწმებისას უმნიშვნელო რაოდენობით ქონდათ მოსმენილი გაკვეთილები რაიონის საშუალო სკოლა-ინტერნატის და ინგირის მე-2 საშუალო სკოლის ხელმძღვანელებს (გ. გეთია, ლ. შელია, თ. ქირია).

ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილებაში დაცული არ არის მუშა ჯგუფის სხდომის ოქმის გაფორმების წესი. მიღებული დადგენილებები ზოგიერთ შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქ. ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში მეორე ციკლით ატესტაციას გადის მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 50 პროცენტზე ნაკლები, რაც რიგ სკოლებში ხელმძღვანელ მუშაკთა შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებებით, ახალგაზრდა სპეციალისტების რაოდენობის ზრდითა და სხვა საპატიო მიზეზებით აიხსნება.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დაევალოთ ქ. ზუგდიდის, ზუგდიდისა და სიღნაღის რაიონების განათლების განყოფილებებს (ამხ. ამხ. მ. ქავთარაძე, ნ. კალანდია, რ. ბეჟაშვილი):

1. 1. განუხრელად დაიცვან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის ჩატარების წესის შესახებ დებულებითა და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები, გადაჭრით გააუმჯობესონ ამ საქმეში სკოლების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა.

1. 2. მასწავლებელთა ატესტაციის მეორე ციკლის მთავარ ამოცანად მიიჩნიონ მისი ქმედითობის გაძლიერება, ეფექტიანობის ამაღლება, როგორც მოსწავლეთა სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის საქმეში სკკპ 26-ე ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი საშუალება.

1. 3. უზრუნველყონ ატესტაციის მაღალ დონეზე ჩატარება ყველა ეტაპზე. გადაჭრით აამაღლონ ატესტაციისადმი შინასასკოლო ხელმძღვანელობისა და კონტროლის დონე; განყოფილებების თანამშრომლებთან ერთად მასწავლებელთა ატესტაციის სრულყოფის საქმეში ფართოდ ჩააბან მოწინავე, განსაკუთრებით წოდებამინიჭებული პედაგოგები.

1. 4. არ დაუშვან ფორმალიზმი და ლიბერალიზმი მასწავლებელთა საატესტაციო შეფასებაში. მიაღწიონ იმას, რომ თითოეული პედაგოგი შეფასდეს ობიექტურად — სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში მათ მიერ გაწეული შრომის მიხედვით.

1. 5. განათლების ზემდგომი ორგანოების მითითებათა შესაბამისად გაბედულად გამოავლინონ მოწინავე მასწავლებლები და დამსახურების მიხედვით წარადგინონ „მასწავლებელ-მეთოდისტისა“ და „უფროსი

მასწავლებლის“ წოდებათა მისანიჭებლად ან სხვა სახის ჯილდოებით წასახალისებლად.

1. 6. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საატესტაციო მასალების სწორ წარმოებას.

2. კადრების ატესტაციის რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. დ. ყურულაშვილი) სისტემატური მეთოდური დახმარება გაუწიოს დაქვემდებარებულ დაწესებულებებს მასწავლებელთა ატესტაციის სრულყოფილად ჩატარებისათვის, ხოლო კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) დააწესოს კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრის მოადგილე** **მ. კობახიძე**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1982 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ქ. ქ. ტყიბულისა და წყალტუბოს ზონების, ადიგენის, დუშეთისა და მარნეულის რაიონების სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებებში შრომის წიგნაკების წარმოების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შ ე ს ა ხ ე ბ

კოლეგია და პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შრომის წიგნაკების აღრიცხვის, შენახვის, გაცემისა და მათი წარმოების მდგომარეობა, რაც ხელს უწყობს პედაგოგიური სტაჟის დადგენას და შრომის ანაზღაურების დადგენილი წესით განსაზღვრას, ამ მიმართებით კანონმდებლობის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებას.

სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებებში მასწავლებელთა და სხვა მუშაკთა შრომის წიგნაკების წარმოება ხდება „საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის წიგნაკების წარმოების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად. რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებებმა მარტო უკანასკნელი ორი წლის (1980—1981 წ. წ.) განმავლობაში მიიღეს 1141 ცალი შრომის წიგნაკი და 291 ცალი ჩანართი.

შრომის წიგნაკების წარმოების საქმის გაუმჯობესების მიუხედავად შემოწმებულ ქალაქებსა და რაიონებში არსებითი ხასიათის დარღვევები და ნაკლოვანებები გამოვლინდა.

მარნეულის რაიონის განათლების განყოფილებაში საშუალო და რვაწლიანი სკოლის 71 დირექტორის შრომის წიგნაკის ნაცვლად ინახებოდა მხოლოდ 32. შრომის წიგნაკები არ ქონდათ განათლების განყოფილების ბუღალტერს, მდივან-მემანქანეს და სხვა მუშაკებს. შრომის წიგნაკები არ გააჩნდათ, აგრეთვე, ადიგენის რაიონის სოფელ ვარხნის საშუალო სკოლის მუშაკებს: ნ. დემეტრაძეს, ვ. ილიევს, ნ. ცინცაძეს და სხვებს.

წყალტუბოს ზონის მაღლაკის საშუალო სკოლის მუშაკების ნ. ბაბუნაშვილისა და ნ. ჟორჟოლიანის შრომის წიგნაკების პირველ გვერდზე დასმული არ არის იმ დაწესებულების ბეჭედი, სადაც წიგნაკები პირველად გაუხსნეს, ხოლო ა. ჩაკვეტაძის შრომის წიგნაკში დანიშვნა-გადაყვანის ჩანაწერი ბეჭედი არ არის დამოწმებული.

ადიგენის რაიონის ადიგენისა და ბოლაჯვრის საშუალო სკოლების მუშაკების ნ. კუბლაშვილის, ნ. შათოშვილის და ზ. ნამგალაძის შრომის წიგნაკებში შეუტანელია რუსული ტექსტი, ხოლო ბოლაჯვრის და ვარხ-

ნის საშუალო სკოლებს არა აქვთ შრომის წიგნაკების და მათი ჩანართი ფურცლების ბლანკების შემოსავალ-გასავლისა და აღრიცხვის წიგნები.

წყალტუბოს ზონის სოფელ მაღლაკისა და სოფელ წყალტუბოს საშუალო სკოლების მასწავლებლების რ. საყვარელიძის, მ. ლექვინაძის, გ. ნუცუბიძის, ლ. კვერნაძის, მ. ჯიქიას, ც. გიორგაძის, ვ. გუბელაძისა და სხვათა შრომის წიგნაკებში შეუვსებელია სვეტი „პროფესია“, არ არის მფლობელთა ხელმოწერა.

არასწორად არის ნაწარმოები დუშეთის რაიონის პირმისაანთკარის საშუალო სკოლა-ინტერნატის მასწავლებლის ი. ხულუზაურის შრომის წიგნაკი. ი. ხულუზაურს რამდენიმე სკოლაში უმუშავნია და შრომის წიგნაკში ყველა ჩანაწერი იწყება სიტყვა „დანიშვნით“, მაშინ, როცა ფაქტიურად იგი სკოლიდან სკოლაში ბრძანებით არის გადაყვანილი. ჩანაწერებიც არასწორად არის ნაწარმოები. ასევეა ნ. სინჯარაძისა და ზოგიერთი მუშაკის შრომის წიგნაკები.

დუშეთის რაიონის ჭოპორტის საშუალო სკოლიდან ბ. ქიმბარაშვილის, ქ. მელიაშვილის, ნ. მელიწკაურის შრომის წიგნაკები ნაწარმოებია არასწორად. ბ. ქიმბარაშვილს ახალი ნიმუშის შრომის წიგნაკში ერთმანეთის მიყოლებითაა სამი ჩანაწერი, სამივე არასწორად არის ჩაწერილი და აკლია დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერა.

ტყიბულის 1-ლ, მე-4, წყალტუბოს ზონის სოფელ მაღლაკისა და სოფელ წყალტუბოს, ადიგენის, დუშეთის, მარნეულის რაიონების რიგ სკოლებში ხშირ შემთხვევაში არ იცავენ შრომის წიგნაკების წარმოების დაკანონებულ წესს, მათში არ შეაქვთ მუშაკთა დაჯილდოება-წახალისების მონაცემები, სამუშაოზე მიღება-გათავისუფლების თარიღები ნაცვლად არაბულისა ნაწარმოებია რომაული ციფრებით და ა. შ.

მარნეულის რაიონის განათლების განყოფილებაში უგულებელყოფილია შრომის წიგნაკების აღრიცხვისა და წარმოების საქმე. განყოფილებას მოქმედი ინსტრუქციაც კი არ გააჩნია და თვითდინებაზე აქვს მიშვებული ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის წარმოება.

აღნიშნული იმით არის გამოწვეული, რომ განათლების განყოფილებები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ დაქვემდებარებული ობიექტების შრომის წიგნაკებით უზრუნველყოფასა და მათი წარმოების საქმეს.

კოლეგიამ და პრეზიდიუმმა გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, პროფკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს:

1. 1. აღმოფხვრან მასწვლებელთა და სხვა მუშაკთა შრომის წიგნაკების წარმოებაში არსებული ნაკლოვანებები, ქმედითი ღონისძიებები განახორციელონ შრომის წიგნაკების მოქმედი წესისა და ინსტრუქციის შესაბამისად წარმოების, აღრიცხვის, შენახვისა და გაცემის უზრუნ-

ველსაყოფად. მიაღწიონ, რომ სამუშაოზე ახლადმიღებულებს შრომის წიგნაკები გადასცენ საზეიმო ვითარებაში მშრომელთა წარმომადგენლების თანდასწრებით;

1. 2. უზრუნველყონ დაქვემდებარებული დაწესებულებები საჭირო რაოდენობის შრომის წიგნაკების ბლანკებით და ჩანართი ფურცლებით, აგრეთვე ინსტრუქციებით, დებულებებით, შრომის კანონმდებლობის ნორმატიული დოკუმენტებით და, პირველ რიგში, შრომის წიგნაკების წარმოების წესის ინსტრუქციით;

1. 3. უახლოეს დროში მოაწყონ დაწესებულებათა ხელმძღვანელებისათვის სემინარები, თათბირები, კურსები და სხვა სახის სწავლება ამ საქმეში მოქმედი კანონმდებლობის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლისათვის;

1. 4. განუხრელად დაიცვან შრომის წიგნაკების შენახვა-გაცემის წესები. საქმე ისე წარმართონ, რომ ყველა დაწესებულებაში შრომის წიგნაკები ინსტრუქციით გათვალისწინებული დოკუმენტებით ინახებოდეს ცეცხლგამძლე კარადებში;

1. 5. სამინისტროს კოლეგიის, სახალხო განათლების საბჭოს და პროფკავშირის შესაბამისი კომიტეტების სხდომებზე პერიოდულად განიხილონ მუშაკთა შრომის წიგნაკების წარმოების საკითხები;

1. 6. დაწესებულების ხელმძღვანელის შეცვლისას გათავისუფლებულმა დირექტორმა შრომის წიგნაკები ჩააბაროს შემცვლელს აქტით, მოწესრიგებულ მდგომარეობაში;

1. 7. აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია წარმოადგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების სამმართველოში 1982 წლის 1 ოქტომბრამდე.

2. აღინიშნოს მარნეულის, ადიგენის რაიონების, წყალტუბოს ზონის განათლების განყოფილებათა (ამხ. გ. ნაბიევა, გ. ზაზაშვილი, მ. ინასარიძე) სუსტი მუშაობა შრომის წიგნაკების დადგენილი წესით წარმოებისათვის სკოლებისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის მხრივ.

3. ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს კადრების სამმართველოს (ამხ. ა. ვაჩნაძე) და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის საწარმოო მუშაობისა და ხელფასის განყოფილებას (ამხ. ა. ჟორჟოლაძე).

**საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე**
**მ. კოზახიძე**

**განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე**
**დ. იოსელიანი**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1982 წლის 25 მარტის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების 1980/1981 სასწავლო წლის კურსდამთავრებულ ახალგაზრდა მასწავლებელთა ათთვიანი სტაჟირების ჩატარების შედეგების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ ადგილებზე შემოწმებით და რაიონების მიერ წარმოდგენილი მასალებით დადგინდა, რომ ახალგაზრდა სპეციალისტთა ათთვიან სტაჟირებას პასუხისმგებლობით მოეკიდნენ აბაშის, ამბროლაურის, ასპინძის, გეგეჭკორის, გორის, ზუგდიდის, თელავის, მაიაკოვსკის, მცხეთის, წალენჯიხის, წულუკიძის, ხობის რაიონების განათლების განყოფილებები. სტაჟიორებს შექმნილი აქვთ ცხოვრებისა და მუშაობისათვის საჭირო პირობები. აქვთ ნორმალური პედაგოგიური დატვირთვა, უზრუნველყოფილი არიან უფასო კომუნალური მომსახურებით, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდა სპეციალისტების ადგილებზე დამაგრებას და სტაჟირების წარმატებით გავლას. ჩამოთვლილი რაიონების სკოლებში ახალგაზრდა სპეციალისტებს, აგრეთვე, საჭირო პირობებს უქმნიან სტაჟიორისათვის შედგენილი გეგმის შესრულების საქმეში. შესაბამისი სპეციალობის მოწინავე და გამოცდილი მასწავლებლებიდან უნიშნავენ უშუალო ხელმძღვანელს, სკოლის, მეთოდკაბინეტისა და განათლების განყოფილებების მუშაკები ესწრებიან მათ გაკვეთილებს, მონაწილეობენ სტაჟიორების მუშაობის განხილვაში, ყოველწლიურად აჯამებენ და აფასებენ მათ მუშაობას, შეიმუშავებენ ღონისძიებებს მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, სასტაჟიორო ფურცლებს უგზავნიან შესაბამის პედაგოგიურ სასწავლებლებს. კარგად ხასიათდებიან ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულები მ. დვალიშვილი და ლ. ვაჩეიშვილი (აბაშის რაიონი), მ. ქევანიშვილი და ლ. გოცირიძე (ამბროლაურის რაიონი), ს. ინასარიძე (ასპინძის რაიონი), ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულები ი. ნაკანი და მ. კერესელიძე (ამბროლაურის რაიონი) და ა. შ. მათ მუშაობის პერიოდში გამოამჟღავნეს ინსტიტუტში მიღებული ცოდნა და ცდილობენ კარგად დაეუფლონ პედაგოგის რთულ და პასუხსაგებ სამუშაოს.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ახალგაზრდა სტაჟიორებს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევათ. მაგალითად, ახალციხის რაიონის სვირის საშუალო სკოლის დირექტორი ამხ. უ. დონაძე უპასუხისმგებლოდ მოეკიდა სტაჟიორ მ. ხოსიტაშვილს. მან ბრძანებით საყვედური გამოუცხადა მასწავლებელს ისე, რომ არც ახალგაზრდა სპეციალისტმა და არც განათლების განყოფილების მუშაკებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ.

გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილებაში სტაჟირებას ხელ-

ხელმძღვანელობს მეთოდკაბინეტი (მეთოდისტი ი. ზვერიაშვილი). მეთოდკაბინეტს შეტანილი აქვს სტაჟიორებთან ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმა, არის აღრიცხვის ჟურნალი, მაგრამ მოხსენებები არა აქვთ, დახასიათებები შედგენილია ძალიან ზოგადად, არ არის ასახული ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების დონე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ მიერ მიღებული მონაწილეობა, წინადადებები მუშაობის შემდგომი სრულყოფის შესახებ და სხვ. ასევე ზოგადია ანგარიშებიც ჩატარებული მუშაობის შესახებ.

ახმეტის, თერჯოლის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, საჩხერის, ქ. ფოთის, ჯავის რაიონებიდან წარმოდგენილ მასალებში გაუგებარია, რა მუშაობა ჩაატარეს აღნიშნულმა რაიონებმა სტაჟიორებთან და სხვ.

მიუხედავად არაერთგზის შეხსენებისა, დღემდე მასალები არ წარმოუდგენიათ ვანის, დმანისის, ყვარლის, ლენტეხის, მესტიის, მახარაძის, ორჯონიკიძის, სამტრედიის რაიონების, ქ. ქ. ჭიათურის, რუსთავის განათლების განყოფილებებს.

ახალგაზრდა სპეციალისტთა ათთვიანი სტაჟირების წარმატებით ჩატარებისათვის კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსს:

1. 1. სისტემატურად შეისწავლონ უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა სტაჟირების მიმდინარეობა, შემოწმების შედეგები განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე, სკოლის დირექტორთა თათბირებზე და შედეგები მოახსენონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს. სასტაჟიორო ფურცლები დროულად გადაუგზავნონ ყოველი წლის 1 ივლისს შესაბამის უმაღლეს სასწავლებლებს.

1. 2. შეუქმნან ახალგაზრდა სპეციალისტებს მუშაობისათვის ყველა საჭირო პირობა ისე, რომ სტაჟირების პროცესში ახალგაზრდა მასწავლებლებმა შეძლონ გამოამჟღავნონ უმაღლეს სასწავლებელში მიღებული მეცნიერული ცოდნის დონე, ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის, საგნის სწავლების მეთოდიკის, აღმზრდელობითი მუშაობისა და მისი პრაქტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევები.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ცენტრალურმა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდის და თელავის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა საჭირო დახმარება გაუწიონ რესპუბლიკის მეთოდურ კაბინეტებს, სკოლებს ახალგაზრდა სპეციალისტების სტაჟირების სწორად წარმართვის საქმეში.

3. განათლების სამინისტროში მასალების წარმოუდგენლობისათვის ვანის, დმანისის, ყვარლის, ლენტეხის, მესტიის, მახარაძის, ორჯონიკი-

ძის, სამტრედიის რაიონების, ქ. ქ. ჭიათურის და რუსთავის განათლების განყოფილებათა გამგეებს (ამხ. ამხ. ა. ენუქიძე, მ. გულიევი, რ. შავგულიძე, ი. ჩანქსელიანი, ა. ჩხვიმიანი, მ. ხავთასი, მ. ლონლაძე, კ. ძნელაძე, გ. ცხადიაშვილი, გ. თავართქილაძე) მიეცეთ შენიშვნა.

4. აღინიშნოს ახმეტის, თერჯოლის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, საჩხერის, ქ. ფოთის განათლების განყოფილებათა გამგეების (ამხ. ამხ. ა. ბაკურაძე, ც. ლიბრაძე, ე. ხმალაძე, გ. ქინქლაძე, გ. აბჟანდაძე, გ. ხოჭოლავა) არადამაკმაყოფილებელი მუშაობა ახალგაზრდა მასწავლებელთა ათთვიანი სტაჟირების საქმეში.

5. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) საჭირო კონტროლი განახორციელოს ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრის მოადგილე** **მ. კობახიძე**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1982 წლის 30 მარტის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 328

ეროვნული ბიბლიოთეკა

### რესპუბლიკაში მძღოლთა კადრების მომზადების სისტემის მოწესრიგების შ ე ს ა ხ ე ბ

ამასთან ვაქვეყნებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 15 ივლისის № 505 დადგენილებას „რესპუბლიკაში მძღოლთა კადრების მომზადების სისტემის მოწესრიგების შესახებ“

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 505

1981 წლის 15 ივლისი

ქ. თბილისი

### რესპუბლიკაში მძღოლთა კადრების მომზადების სისტემის მოწესრიგების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ამჟამად რესპუბლიკაში მზადდება ყველა კატეგორიის 40 ათასზე მეტი მძღოლი. მათი მზადება მიმდინარეობს რესპუბლიკის 8 სამინისტროში, უწყებასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში უსისტემოდ, რაც იწვევს პარალელიზმს და უარყოფითად მოქმედებს მომზადების ხარისხზე. მეტი წილი ავტოკურსებისა და კლასების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, ხოლო ზოგიერთი მათგანი ხასიათდება ძალზე სუსტი ტექნიკური ბაზით, მძღოლთა მომზადების დაუშვებლად დაბალი დონით. ყველგან შეიმჩნევა ხვადასხვაობა სწავლის ფულის ოდენობაში.

რესპუბლიკაში მძღოლთა კადრების მომზადების სისტემის მოწესრიგების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაეკისროთ რესპუბლიკაში ყველა კატეგორიის მძღოლთა კადრების მომზადების ორგანიზაცია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს (უფასოდ), საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს (უფასოდ) და საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს (სწავლის ფულით). ამასთან შეუნარჩუნდეს შესაბამისი ფუნქციები მხოლოდ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საკუთარი საჭიროებისათვის „ვს“ და „დ“ კატეგორიების მძღოლთა მომზადების ნაწილში სწავლის ფულის გარეშე და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს — სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპე-

ციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად ავტოსაქმეში სტუდენტთა უფასოდ მომზადების ნაწილში.

2. დაწესდეს, რომ რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ავტოსკოლებისა და ავტოკურსების ფუნქციონირება, ამ დადგენილების 1-ელ მუხლში აღნიშნულის გარდა, წყდება იმ მოსწავლეთა გამოშვების შემდეგ, რომელთაც მეცადინეობა დაიწყეს ამ დადგენილების მიღებამდე.

3. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ:

3. 1. ჩაატაროს 1981 წლის ბოლომდე ავტოსკოლებისა და ავტოკურსების ხელახალი რეგისტრაცია ამ დადგენილების შესაბამისად და არ დაუშვას ავტოსკოლებისა და ავტოკურსების რეგისტრაცია და ფუნქციონირება, თუ ისინი ტექნიკურად არ იქნებიან აღჭურვილი.

3. 2. გააუმჯობესოს მძღოლის კანდიდატთაგან გამოცდების მიღების ხარისხი, გააძლიეროს სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკთა მომთხოვნელობა და პრინციპულობა გამოცდების მიღებისა და სასწავლო ბაზების რეგისტრაციის დროს, დანერგოს ყველა სარეგისტრაციო-საგამოცდო ქვედანაყოფში საგამოცდო მანქანები.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა:

4. 1. შეისწავლოს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება მძღოლთა კადრებზე კატეგორიების მიხედვით;

4. 2. გაითვალისწინოს დაგეგმვისას სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში შეძენილი დადებითი გამოცდილება.

5. მიღებულ იქნას ცნობად, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 27 ივნისის № 467 დადგენილების 32-ე მუხლით რჩევა მიეცათ სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს ფართოდ გამოიყენონ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციათა შესაძლებლობანი სახელშეკრულებო საწყისებზე მასობრივი, მათ შორის მძღოლთა, პროფესიების კადრების მომზადებისა და სრულყოფის საქმეში.

6. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ამოღებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 18 აპრილის № 217 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების წესდების მე-3 მუხლის „ე“ ქვემუხლიდან სიტყვები: „...ავტომობილისა და ...მფლობელ თავდაპირველი...“, ხოლო მე-4 მუხლის „ი“ ქვემუხლიდან სიტყვები: „...ავტომობილისა და...“, როგორც ძალადაკარგული.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს**
**თავმჯდომარე ზ. პატარიძე**
**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს**
**საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი“.**

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: აღნიშნულ დადგენილებაში გათვალისწინებულია საქართველოს სსრ

მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 28 დეკემბრის № 881 დადგენილების 1-ელ მუხლში შეტანილი ცვლილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების შესასრულებლად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

1. 1. რესპუბლიკაში მძღოლთა კადრების მომზადების სისტემის მოწესრიგების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება მიიღონ სახელმძღვანელოდ და განუხრელად შესასრულებლად;

1. 2. ავტოსაქმის სწავლებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის მიზნით განახორციელონ მტკიცე კავშირი ავტოსაქმის სწავლების სკოლებისა ავტობაზებთან, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო დაწესებულებებთან, რომლებსაც გააჩნიათ მძლავრი ავტომეურნეობები;

1. 3. დააკომპლექტონ სკოლები, რომლებშიაც შემოღებულია ავტოსაქმის სწავლება სათანადო ცენზის, კვალიფიკაციისა და მუშაობის გამოცდილების მქონე თეორიული სწავლების მასწავლებელთა და ავტომობილის ტარების საწარმოო სწავლების ოსტატთა კადრებით;

1. 4. მიიღონ საჭირო ზომები ავტოსაქმის სწავლებისათვის სათანადო სათავსების შერჩევისა და მატერიალური ბაზის შექმნისათვის, რისთვისაც მჭიდრო კავშირი დაამყარონ ადგილობრივ ავტომეურნეობებთან და უზრუნველყონ მათგან ავტოკაბინეტებისათვის საჭირო აგრეგატების, მოქმედი მოდელების, ნაბეჭდი თვალსაჩინოების, ავტომანქანის ნაწილებისა და აპარატურის მიღება;

1. 5. უზრუნველყონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1979 წლის 22 მარტის № 05-5-98 „საშუალო სკოლის იმ კურსდამთავრებულებზე, რომლებმაც შეისწავლეს ავტოსაქმე, მძღოლის მოწმობის გაცემის ინსტრუქციის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ და 1980 წლის 25 აპრილის № 05-5-197 „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში სასწავლო ავტომანქანებისა და ტრაქტორების დანიშნულებით გამოყენების შესახებ“ ცირკულარული წერილებით გათვალისწინებული ღონისძიებების განუხრელი შესრულება;

1. 6. აღნიშნული დადგენილება და ბრძანება დაიყვანონ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებამდე.

2. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

მინისტრის მოადგილე მ. კობახიძე

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1982 წლის 7 აპრილის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახვედრად რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებისა და დაწესებულებების მზადების შ ე ს ა ხ ე ბ

1982 წლის 30 დეკემბერს მთელი საბჭოთა ხალხი აღნიშნავს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახებ“, რომელშიც ღრმად და მრავალმხრივადაა გაშუქებული სსრკ შექმნის ისტორიული მნიშვნელობა, მოცემულია ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მზადების კონკრეტული პროგრამა. იუბილისათვის მზადება და მისი საზეიმო ვითარებაში აღნიშვნა ხელს შეუწყობს მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური, პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის, მათი იდეური წრთობის შემდგომ გაუმჯობესებას.

საქართველოს სსრ განათლების სჭმინისტროს კოლეგიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს სსრკ შექმნის მე-60 წლისთავისათვის მზადების ღონისძიებათა გეგმა (თან ერთვის).

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამართველომ უზრუნველყონ აღნიშნული გეგმის დაყვანა დაქვემდებარებულ დაწესებულებებამდე, შეუფარდონ ადგილობრივ პირობებს და ამის საფუძველზე შეიმუშაონ და განახორციელონ სსრკ შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა.

3. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სხვა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში უფრო აქტიურად უნდა გაეწიოს პროპაგანდა კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებს, სსრკ შეიარაღებული ძალების საგმირო საქმეებს, მოსწავლე ახალგაზრდობაში კომუნიზმის იდეალებისადმი, პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოსადმი თავდადების, პოლიტიკური სიფხიზლის გრძნობის, სოციალიზმის მონაპოვართა დაცვისადმი მზადყოფნის, ნაციონალიზმის ნებისმიერი გამოვლენისადმი შეურგებლობის, ეროვნებათაშორის ურთიერთობის მაღალი კულტურის სულისკვეთების აღზრდას.

სსრკ ხალხთა დიადი ზეიმისათვის მთელ მზადებას საფუძვლად უნდა დაედოს სკკპ და საქართველოს კპ 26-ე ყრილობების დოკუმენტები და მასალები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება —

„საბჭოთა კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახებ“, სახალხო განათლების შემდგომი განვითარების საკითხებზე პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

4. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ (ამხ. ნ. შველიძე) და ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ (ამხ. ა. გოგელია) ფართოდ გააშუქონ სსრკ შექმნის მე-60 წლისთავისათვის მზადება, ლენინური ეროვნული პოლიტიკის წარმატებები, მისი საერთაშორისო მნიშვნელობა.

5. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი Ო. ᲥᲘᲜᲥᲚᲐᲫᲔ

# გ ე გ მ ა
## საბჭოთა კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახვედრად რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებისა და დაწესებულებების მზადების შესახებ

| № | შესასრულებელი საკითხები | შესრულების დრო | პასუხისმგებელი შესრულებაზე |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1. | „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური და მოსწავლეთა კოლექტივების მიერ შესწავლის მიზნით საინსტრუქციო-მეთოდური წერილის მომზადება | 1981 წლის II კვ. | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო |
| 2. | მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისა და სსრკ შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საღამოს სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადების, სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების გაუმჯობესების, განათლების სამინისტროს სისტემის დაწესებულებების მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლა.<br>სკკპ ცკ ნოემბრის (1981 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებების შესაბამისად ეკონომიკური და სოციალისტური განვითარების 1982 წლის გეგმის ყველა მაჩვენებლის და 1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების უზრუნველსაყოფად ღონისძიებების გატარება | 1982 წ. | სამმართველო-განყოფილებები |
| 3. | მშობლიურ ლიტერატურაში, საქართველოს ისტორიაში, საქართველოს გეოგრაფიაში ღია საჩვენებელი გაკვეთილების ჩატარებისათვის მეთოდური მითითებების მომზადება, აღნიშნული საგნების პროგრამების, სახელმძღვანელოებისა და მეთოდური ლიტერატურის გაანალიზება | 1982 წ. | სკოლების სამმართველო |
| 4. | მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავება | 1981-82 სასწ. წ. | სკოლების სამმართველო |
| 5. | რუსული ენის სწავლების შემდგომი სრულყოფის მიზნით დადებითი გამოცდილების შესწავლა, განზოგადება და პროპაგანდა | 1981-82 სასწ. წ. | სკოლების სამმართველო |
| 6. | შრომითი აღზრდის, სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლე ახალგაზრდობის გაღრმავებული შრომითი სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გან- | 1981-82 სასწ. წ. | სკოლების სამმართველო აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| | მტკიცების პერსპექტიული გეგმების განხორციელება, ტექნიკურ შემოქმედებაში, რაციონალიზატორთა, გამომგონებელთა საქმიანობაში მოსწავლეთა ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფა (საბაზო საწარმოების, ორგანიზაციების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების, სასწავლო-საწარმოო საამქროების, უბნების, სასწავლო-საწარმოო კომბინატების ფართო ჩაბმით). | | |
| 7. | ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომებსა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების საუკეთესო საკურსო ღონისძიებებში საიუბილეო თემატიკის გათვალისწინება | 1981-82 სასწ. წ. | სკოლებისა და კადრების სამმართველოები |
| 8. | მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური, თბილისის, ზუგდიდის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, თელავის ინსტიტუტების სამუშაო გეგმებსა და სასწავლო პროგრამებში საიუბილეო თემატიკის დამუშავება და შესწავლა | 1981-82 სასწ. წ. | კადრების სამმართველო მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტთან ერთად |
| 9. | მოსწავლე ახალგაზრდობისათვის კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სიის შედგენა და სკოლებამდე დაყვანა | 1981-82 სასწ. წ. | სახელმძღვანელოების სამმართველო რესპუბლიკურ საბავშვო ბიბლიოთეკასთან ერთად |
| 10. | სახალხო განათლების სისტემის ბიბლიოთეკებისათვის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ღონისძიებების მოსამზადებლად მეთოდური დახმარების გაწევა, ი. გოგებაშვილის სახ. ბიბლიოთეკის ბაზაზე გამოფენის „სსრკ შექმნის 60 წელი“ მოწყობა | 1982 წ. IV კვ. | სახელმძღვანელოების სამმართველო რესპუბლიკურ საბავშვო ბიბლიოთეკასთან ერთად |
| 11. | საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი პლაკატების გამოცემა | 1981-82 სასწ. წ. | სახელმძღვანელოების სამმართველო რესპუბლიკურ საბავშვო ბიბლიოთეკასთან ერთად |
| 12. | სამხედრო-პატრიოტული მუშაობის საკავშირო დათვალიერებაში რესპუბლიკური სკოლების აქტიურად მონაწილეობის უზრუნველყოფა | 1981-82 სასწ. წ. | დაწყებითი სამხედრო მომზადების სამმართველო |
| 13. | ნორჩ ფოტომოყვარულთა რესპუბლიკური თემატური გამოფენა | 1982 წ. | ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო |
| 14. | საბჭოთა კავშირის ხალხთა ცეკვების შემსრულებელთა რესპუბლიკური კონკურსი | 1982 წ. | აღმზრდელობითი მუშაობის, სამეცნიერო-მეთოდური |

| 1 | 2 | 3 | 4 |
| --- | --- | --- | --- |
| | | | ცენტრი, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო |
| 15. | მოსწავლეთა სახვითი ხელოვნების ნამუშევრების რესპუბლიკური გამოფენა | 1982 წ. | ბავშვთა სურათების გალერეა, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო |
| 16. | საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში მუზეუმების, ოთახების, მოწყობის ორგანიზაცია | 1982 წ. | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო |
| 17. | იუბილესათვის მზადების ორგანიზაციისა და ამ მიზნით გაწეული მუშაობის შემოწმებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მუშაკთა მივლინება რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში | 1981-82 სასწ. წ. | სამმართველო-განყოფილებები |
| 18. | ხალხთა მეგობრობისადმი მიძღვნილი სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციების, კონკურსების, ფესტივალების, ოლიმპიადების, სპორტული შეჯიბრებების, ტურისტული ლაშქრობების, ექსკურსიებისა და მასიური ღონისძიებების ორგანიზაცია | 1981-82 სასწ. წ. | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, სამმართველო-განყოფილებები |
| 19. | საკავშირო ექსპედიციაში: „სსრკ—ჩემი სამშობლოა" — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების აქტიურად ჩაბმა | 1981-82 სასწ. წ. | ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგური, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო |
| 20. | იუბილესადმი მიძღვნილი მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური დათვალიერება | 1983 წ. მარტი | აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო |

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1982 წლის 7 აპრილის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის, აღსაზრდელთა კვების, საყოფაცხოვრებო პირობებისა და კულტურულ-სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1981 წლის 21 ოქტომბერს (დადგენილება № 896) განიხილა საკითხი რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, აღსაზრდელთა კვების, საყოფაცხოვრებო პირობებისა და კულტურულ-სამედიცინო მომსახურების შემდგომი სრულყოფის შესახებ და მიიღო დადგენილება.

ცნობაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 27 თებერვლის „გარდაბნის რაიონის სოფ. მარტყოფის სკოლა-ინტერნატის მუშაობის შესახებ“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 8 ივნისის „რესპუბლიკის საბავშვო სახლებსა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მუშაობის მდგომარეობისა და მისი გადაჭრით გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ დადგენილებათა განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აღნიშნული ტიპის სასწავლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აღსაზრდელთა კვება, საყოფაცხოვრებო პირობები და კულტურულ-სამედიცინო მომსახურება.

გარკვეული მუშაობაა გაწეული სკოლა-ინტერნატების ქსელის რაციონალიზაციის მიმართებით, დაიხურა მცირეკომპლექტიანი სამი საბავშვო სახლი და ორი სკოლა-ინტერნატი, რეკონსტრუირებულ იქნა და კაპიტალურად შეკეთდა 20-ზე მეტი ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულების მატერიალური ბაზა, მწყობრში ჩადგა ახალი სკოლა-ინტერნატის შენობა გუდაუთის რაიონში, დამხმარე სკოლა სოხუმში, საძინებელი კორპუსი სურამის საბავშვო სახლში, სრულ რეკონსტრუქციას განიცდის კარდანახის საბავშვო სახლი, გარდაბნის რაიონის კოჯრის 1-ლ საბავშვო სახლში აიგო სასადილო, სამრეცხაო და აბანო, რუსთავის საბავშვო სახლში აიგო აბანო-სამრეცხაო, თეთრიწყაროს ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატს აუშენდა სასადილო და სასწავლო სახელოსნოები, დასრულდა მარტყოფის სკოლა-ინტერნატის წყალსადენის მშენებლობა.

ინდივიდუალური პროექტით დაიწყო ახალი საბავშვო სახლების მშენებლობა ასპინძაში და ცხინვალის რაიონის სოფ. ქურთაში, სმენადაქვეითებულ ბავშვებისათვის შენდება ახალი სკოლა-ინტერნატი ქ. თბილისში.

მე-11 ხუთწლედში განსაზღვრულია სპეციალური სკოლა-ინტერნატების მშენებლობა ქ. ქუთაისში (ყრუ ბავშვთათვის) და სოფ. გუმათში (გონებაჩამორჩენილ ბავშვთათვის), მწყობრში ჩადგება ახალი სკოლა-ინტერნატები ომალოსა და შატილში.

სკოლა-ინტერნატების ,საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი სრულყოფისა და განმტკიცების მიზნით უკანასკნელ სამ წელიწადში დაიხარჯა 7 მილიონ მანეთზე მეტი. ამავე პერიოდში შეძენილია 4,2 მილიონი მანეთის ღირებულების რბილი და მაგარი ინვენტარი, 1 მილიონამდე მანეთის სწავლების ტექნიკური საშუალებანი, გამოყოფილია 55 სპეციალური და სატვირთო ავტომანქანა. ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებების 55% გადასულია სწავლების კაბინეტურ სისტემაზე, კეთილმოეწყო და სათანადოდ აღიჭურვა შრომითი სწავლების სახელოსნოების 60%.

შედარებით გაუმჯობესდა ინტერნატული დაწესებულებების კვალიფიციური პედაგოგიური და სამედიცინო კადრებით დაკომპლექტებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმე. დღეისათვის ინტერნატულ დაწესებულებებში მომუშავე პედაგოგ-აღმზრდელთა 90% უმაღლესი განათლების მქონეა, შემუშავდა პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების გარკვეული სისტემა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სპეციალური სკოლებისათვის დეფექტოლოგთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას, საქმიანი თანამშრომლობაა დამყარებული ამ მხრივ დეფექტოლოგიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან.

საყურადღებოა ინტერნატულ დაწესებულებებთან სასწავლო-საცდელი ნაკვეთებისა და დამხმარე მეურნეობათა მოწყობისათვის გაწეული მუშაობა. ეს ღონისძიება, აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციის გაუმჯობესებასთან ერთად, ეფექტურად გამოიყენება სასწავლო-აღმზრდელობითი დანიშნულებით, საბჭოთა მეურნეობებთან და კოლმეურნეობებთან საქმიანი, პრაქტიკული კავშირის განმტკიცების, მოსწავლეთა შრომითი აღზრდის და პროფესიული ორიენტაციისათვის.

ზოგიერთი სკოლა-ინტერნატის და საბავშვო სახლის დამხმარე მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შესაძლებელი გახდა კვებისათვის განკუთვნილი თანხების გაზრდა, კაპიტალური და მიმდინარე რემონტების ჩატარება, რაც მთავარია ზოგიერთი დამხმარე მეურნეობიდან მიღებული პროდუქტებით იკვებებიან არა მარტო სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელები, არამედ სკოლამდელი და სანატორიული ტიპის სასწავლო დაწესებულებების აღსაზრდელებიც.

საგულისხმო ვალდებულებები აიღეს ამ მიმართებით რესპუბლიკის ინტერნატულმა დაწესებულებებმა მიმდინარე წლისათვის. სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებთან ერთად გათვალისწინებულია 150 ტ. ღორის ხორცის წარმოება, რაც 25%-ია მათ მიერ წლის განმავლობაში მოხმარებული ხორცის საერთო რაოდენობისა.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დახმარება შეფი ორგანიზაციების მხრიდან. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „თბილგრესი" და ზუგდიდის რაიონის საბჭოთა მეურნეობები, რომლებმაც გასულ წელს დახმარების მიზნით რაიონის სამი სკოლა-ინტერნატის კაპიტალური შეკეთებისათვის გაიღეს 300.000 მანეთი.

ამასთან, რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, აღსაზრდელთა კვების, საყოფაცხოვრებო პირობებისა და კულტურულ-სამედიცინო მომსახურების მდგომარეობა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება და არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

აღნიშნული იმითაც არის გამოწვეული, რომ დროულად და თანმიმდევრულად არ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 8 ივნისის № 404 დადგენილებით გათვალისწინებული ზოგიერთი დავალება. მიუხედავად გარკვეული მიღწევებისა, კვლავ არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია რიგი ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მატერიალური ბაზა. ახალციხის, ტყვარჩელის, ქუთაისის (გუმათის), სიღნაღის სპეცსკოლა-ინტერნატები ავარიულ, ხოლო 28 ინტერნატული დაწესებულება შეგუებულ, მეცადინეობისათვის შეუფერებელ შენობებშია მოთავსებული. მწვავედ დგას ტრანსპორტით უზრუნველყოფის საკითხი, ხშირია შემთხვევები, როდესაც აღსაზრდელები ვერ ღებულობენ ნორმით გათვალისწინებულ კვების პროდუქტებს, ხარვეზებია სამედიცინო, საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების საქმეში.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ, ანომალურ და სუსტი ჯანმრთელობის მქონე აღსაზრდელთა კონტინგენტის გამოვლენასა და მათი შესაბამის ინტერატულ დაწესებულებებში ჩაბმას, რის შედეგადაც შესაბამის ინტერნატულ დაწესებულებებში და სკოლა-სანატორიუმებში ხშირ შემთხვევაში ვერ სრულდება კონტინგენტის დადგენილი გეგმები, არის შემთხვევები აღნიშნული სასწავლო დაწესებულებების არასწორი დაკომპლექტებისა.

შეიმჩნევა ფორმალიზმი შეფი ორგანიზაციების საქმიანობაში, სუსტია მათი კავშირი და პრაქტიკული დახმარება ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებებისადმი, ჯერ კიდევ ყველგან არაა დანერგილი პრაქტიკაში ანგარიშების მოსმენა შეფი ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 8 ივნისის № 404 დადგენილების მიუხედავად, ახმეტის, ყაზბეგის, გარდაბნის, გორის რაიონების ინტერნატულმა დაწესებულებებმა დღემდე ვერ მიიღეს მიწის ნაკვეთები დამხმარე მეურნეობათა მოსაწყობად.

ნაკლოვანებებია სპეცსკოლების ორიგინალური და ნათარგმნი სახელმძღვანელოებით, მეთოდური ლიტერატურით და სხვა სასწავლო-დიდაქტიკური მასალებით უზრუნველყოფის საქმეში.

მოუგვარებელია სპეცსკოლა-ინტერნატებისათვის პედაგოგიური კადრების მიზნობრივი მომზადების საკითხი. მკვეთრ გაუმჯობესებას საჭიროებს ამ ტიპის სასწავლო დაწესებულებებში მომუშავე სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების და მათი პედაგოგიზაციის საქმე.

უხარისხო, დაბალი გემოვნებით შესრულებულ რბილ და მაგარ ინვენტარს იღებენ სკოლა-ინტერნატები და საბავშვო სახლები, მიწოდებული ფეხსაცმელი და ტანსაცმელი (განსაკუთრებით საშინაო ტანსაცმელი) იმდენად დაბალი ხარისხისაა, რომ სანახევროდაც ვერ უძლებს ექსპლოატაციის დადგენილ ვადებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 21 ოქტომბრის № 896 დადგენილების შესრულების მიზნით კოლეგიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

1. 1. განუხრელად იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 21 ოქტომბრის №896 დადგენილებით:

1. 2. ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ კონკრეტულ ღონისძიებათა კომპლექსური გეგმები და განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების და სპეციალური სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის, აღსაზრდელთა კვების, საყოფაცხოვრებო პირობებისა და კულტურულ-სამედიცინო მომსახურების მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით;

1. 3. დააკომპლექტონ ინტერნატული დაწესებულებები მაღალკვალიფიციური, სათანადო გამოცდილების მქონე პედაგოგიური კადრებით და მომსახურე პერსონალით,თანმიმდევრულად იზრუნონ მათი კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლებისათვის;

1. 4. განამტკიცონ შრომითი სწავლების სახელოსნოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფართოდ დანერგონ ინტერნატულ დაწესებულებებში ავტოსაქმის, ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგროტექნიკისა და მეცხოველეობის საფუძვლების სწავლება. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სპეციალურ სკოლებში შრომითი სწავლებისა და ანომალურ ბავშვთა პროფესიული ორიენტაციის საქმეს .

2. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების დირექტორებმა:

2. 1. უზრუნველყონ სკოლა-ინტერნატები და საბავშვო სახლები კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით, გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გასაუმჯობესებლად;

ამაღლონ პედაგოგ-აღმზრდელთა პერსონალური პასუხისმგებლობა, მოაწესრიგონ სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა, გამუდმებით იზრუნონ აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო და სამედიცინო-კულტურული მომსახურების დონის ამაღლებაზე, მტკიცედ დაიცვან სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

2. 2. შემოქმედებითად მიუდგნენ სწავლებისა და აღზრდის საქმეს, გამოიყენონ სწავლების თანამედროვე მეთოდები, დანერგონ დამატებითი მეცადინეობის პრაქტიკა, დიფერენცირებულად და ინდივიდუალურად მიუდგნენ თითოეულ აღსაზრდელს, ფართოდ გამოიყენონ სწავლების პროცესში ტექნიკური საშუალებები;

2. 3. გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი სასწავლო-საცდელი, დამხმარე მეურნეობების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების მიმართებით, შეარჩიონ ამ საქმის ხელმძღვანელებად კვალიფიციური სპეციალისტები, შექმნან აღსაზრდელთა მუშაობის გარკვეული სისტემა;

— იზრუნონ ინტერნატულ დაწესებულებებთან არსებული დამხმარე მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად. ფართოდ გამოიყენონ ამ მიმართებით შეფი ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები;

2. 4. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ინტერნატულ დაწესებულებებში აღსაზრდელთა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტულ--გამაჯანსაღებელ მუშაობას, შექმნან სპორტული მუშაობისათვის სათანადო ბაზა, გააძლიერონ ზედამხედველობა ფასიანი ჯგუფების მუშაობაზე, შეარჩიონ მათ ხელმძღვანელებად მაღალკვალიფიციური სპეციალისტები;

2. 5. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა შრომით აღზრდას, მათში შრომისადმი სიყვარულისა და შრომითი ჩვევების გამომუშავებას, გაუღვივონ მათ პროფესიული ინტერესი, შეუხამონ აღსაზრდელთა სწავლება მათ პრაქტიკულ საქმიანობას. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ შრომითი სწავლების პროფილების სწორად განსაზღვრას, მიუსადაგონ იგი რეგიონში არსებულ მსხვილ საწარმოთა პროფილებს.

3. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი), სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. ჰ. თუთბერიძე) განათლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად განიხილონ თითოეული საბავშვო სახლისა და სკოლა-ინტერნატის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფის საკითხი და მიიღონ ზომები დადგენილი ნორმების შესაბამისად აღნიშნული სასწავლო დაწესებულებების აღსაზრდელთა ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, რბილი და მაგარი ინვენტარით უზრუნველსაყოფად.

3. 1. დაავალდებულონ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების დირექტორები დროულად წარადგინონ ასორტიმენტული განა-

ცხადები ტრიკოტაჟის, შეკერილ, წინდის ნაწარმზე, რბილ და მაგარ ინვენტარზე;

3. 2. გააძლიერონ კონტროლი სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში არსებული ინვენტარის აღრიცხვაზე და დაცვაზე, გამოუმუშაონ აღსაზრდელებს ინვენტარისა და პირადი მოხმარების ნივთებისადმი სათუთი დამოკიდებულების ჩვევები;

3. 3. დააწესონ სისტემატური კონტროლი სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლებისათვის განკუთვნილი ინვენტარის ხარისხზე და მიწოდების ორგანიზაციაზე, გააძლიერონ საპრეტენზიო მუშაობა მიმწოდებელ ორგანიზაციათა მიმართ;

3. 4. სისტემატურად იზრუნონ ინტერნატული დაწესებულებების აუცილებელი სამრეწველო საქონლით უზრუნველსაყოფად, დროულად აცნობონ მათ სათანადო საქონლის არსებობის შესახებ, სისტემატური კონტაქტები იქონიონ ამ მიმართებით განათლების ადგილობრივ ორგანოებთან.

4. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ბ. აფხაზავა) გააძლიეროს დახმარება და სისტემატური კონტროლი დააწესოს ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებებში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებისა და კაპიტალური რემონტების ხარისხიანად ჩატარებაზე, არ დაუშვას დაუმთავრებელი და დეფექტებით შესრულებული სამუშაოების მიღება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 21 ოქტომბრის № 896 დადგენილების № 2 დანართის შესაბამისად განახორციელოს მე-11 ხუთწლედში რესპუბლიკური საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების მშენებლობა.

5. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ლონტი):

5. 1. განახორციელოს ღონისძიებანი სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და სპეცსკოლების ორიგინალური და უნიფიცირებული სახელმძღვანელოებით, მეთოდური ლიტერატურითა და სხვა დამხმარე სასწავლო-დიდაქტიკური მასალებით უზრუნველსაყოფად;

სახელმძღვანელოების გამოცემის 1983 წლის თემატურ გეგმაში უსინათლო და სუსტადმხედველი ბავშვებისათვის გაითვალისწინოს სახელმძღვანელოების გამოცემა სპეციალური და ბრაილის შრიფტით;

5. 2. განსაკუთრებული ყურადღება მიაპყროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სახელმძღვანელოებით, მეთოდური და მხატვრული ლიტერატურით უზრუნველყოფის საქმეს, იზრუნოს ინტერნატული ტიპის დაწესებულებათა ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის შემდგომ გამდიდრებაზე, სრულყოს სასწავლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შევსება-დაცვის ორგანიზაცია;

5. 3. 1983 წლის სამუშაო გეგმაში გაითვალისწინოს სკოლა-ინტერნატებში სასწავლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცვისა და განახლების საკითხის შემოწმება და შედეგები მოახსენოს კომისიას.

6. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე):

6. 1. გააძლიეროს მუშაობა სპეცსკოლა-ინტერნატებისა და სპეცსკოლების სპეციალისტი კადრებით დაკომპლექტების ხაზით, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სპეცსკოლა-ინტერნატების პედაგოგიური კადრების მიზნობრივად გადამზადების საკითხს.

7. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. პ. თუთბერიძე):

7. 1. გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებების მუშაობაზე, იზრუნოს აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების, კვების, სანიტარულ-ჰიგიენური, კულტურული, სამედიცინო მომსახურების, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გაუმჯობესებისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის;

7. 2. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ინტერნატულ დაწესებულებებთან დამხმარე მეურნეობების ორგანიზაციის საქმეს, მკაცრი კონტროლი დააწესოს საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებაზე, იზრუნოს დამხმარე მეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი სრულყოფისათვის;

7. 3. განამტკიცოს ინტერნატული დაწესებულებების შრომითი სწვლების სასწავლო-მატერიალური ბაზა, სწორად შეარჩიოს შრომითი სწავლების პროფილები და მიაღწიოს სწავლების მაღალ მაჩვენებლებს;

7. 4. უზრუნველყოს რესპუბლიკური და ზონალური მედიკო-პედაგოგიური კომისიების მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესება, შეიმუშაოს სათანადო რეკომენდაციები მისი ფუნქციონირების შემდგომი სრულყოფისათვის;

7. 5. სისტემატურად შეისწავლოს და განაზოგადოს მოწინავე სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და ინტერნატულ დაწესებულებებში მომუშავე აღმზრდელ-პედაგოგთა მუშაობის გამოცდილება.

8. გაზეთ „სახალხო განათლების“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა (ამხ. ნ. შველიძე, ა. გოგელია) სისტმატურად გააშუქონ თუ როგორ სრულდება ინტერნატული ტიპის დაწესებულებებში პარტიისა და მთავრობის დადგენილებები, განაზოგადონ მოწინავე სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და ცალკეული პედაგოგ-აღმზრდელების გამოცდილება.

9. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს (ამხ. პ. თუთბერიძე).

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრი ო. ქინქლაძე**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1982 წლის 7 აპრილის ბრძანება № 364

**რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის, აღსაზრდელთა კვების, საყოფაცხოვრებო პირობებისა და კულტურულ-სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შ ე ს ა ხ ე ბ**

ვაქვეყნებთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 21 ოქტომბრის № 896 დადგენილებას „რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის, აღსაზრდელთა კვების, საყოფაცხოვრებო პირობებისა და კულტურულ-სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 896

1981 წლის 21 ოქტომბერი

ქ. თბილისი

**რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის, აღსაზრდელთა კვების, საყოფაცხოვრებო პირობებისა და კულტურულ-სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შ ე ს ა ხ ე ბ**

რესპუბლიკის ინტერნატულ დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციის, საყოფაცხოვრებო პირობების და კულტურულ-სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ:

— მკვეთრად გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და კონტროლი სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციის, საყოფაცხოვრებო პირობების და კულტურულ-სამედიცინო მომსახურების მდგომარეობაზე. დასახონ კონკრეტული სადღეისო და პერსპექტიული ამოცანები, უზრუნველყონ მათი თანმიმდევრული განხორციელება;

— განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებით გამოყოფილი თანხების სრულ ათვისებას;

— გააძლიერონ საშეფო ორგანიზაციათა მოღვაწეობა, განამტკიცონ მათი პრაქტიკული, სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობანი ინტერნატულ დაწესებულებებთან, აღნიშნულიდან გამომდინარე სისტემატურად მოისმინონ შეფი ორგანიზაციებისა და სახალხო განათლების ორგანოების ინფორმაციები;

— ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ ინტერნატულ დაწესებულებებს სარემონტო სამუშაოების ორგანიზაციის საქმეში, გამოუყონ მათ სამშენებლო მასალები, შეურჩიონ და მიამაგრონ მოიჯარადრე ორგანიზაციები და მკაცრი კონტროლი დააწესონ ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაზე;

— ხელი შეუწყონ სკოლა-ინტერნატებთან და საბავშვო სახლებთან არსებულ სასწავლო-საცდელ დამხმარე მეურნეობებს მუშაობის შემდგომი სრულყოფის საქმეში, საჭიროების შემთხვევაში გაუზარდონ ინტერნატულ დაწესებულებებს მათზე დაკისრებული მიწის ნაკვეთების ფართობი, გამოუყონ მათ აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ აღნიშნულ მეურნეობებს რენტაბელობის გაზრდის მიზნით;

— აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ხილ-ბოსტნეულის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ხისა და ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ, „ცეკავშირის“ გამგეობამ 1982 წლის ოქტომბერში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოახსენონ გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ.

2. ყაზბეგის, გარდაბნის, ახმეტის და თეთრიწყაროს რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა 1982 წლის მარტამდე უზრუნველყონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 8 ივნისის № 404 დადგენილების შესაბამისად სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლებისათვის სასწავლო-საცდელი დამხმარე მეურნეობების მოსაწყობად მიწის ნაკვეთების გამოყოფა.

3. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად განიხილოს საკითხი ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე აღსაზრდელთა პროფესიული მომზადების მიზნით რესპუბლიკაში სპეციალური პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების შექმნის შესაძლებლობის შესახებ.

4. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ:

— მკვეთრად გააუმჯობესოს რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლების აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურება, უზრუნველყოს სამკურნალო კაბინეტ-ლაბორატორიების თანამედროვე სამედიცინო ტექნიკით და მედიკამენტებით აღჭურვა;

— დააწესოს მკაცრი კონტროლი და ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს ინტერნატულ დაწესებულებებში მომუშავე სამედიცინო პერსონალს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურების საქმეში;

— დააკომპლექტოს სკოლა-ინტერნატები კვალიფიციური სამედიცინო კადრებით, სისტემატურად იზრუნოს მათი პროფესიული დაოსტატების სრულყოფისათვის.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ უსინათლოთა საზოგადოებამ უზრუნველყონ 1983 წლიდან გონებრივი და ფიზიკური ნაკლის მქონე აღსაზრდელებისათვის სახელმძღვანელოების, მეთოდური და დიდაქტიკური თვალსაჩინო მასალების გამოცემა წინასწარ სპეციალურად შემუშავებული გეგმისა და გრაფიკის მიხედვით.

6. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, „ცეკავშირის" გამგეობამ, საქართველოს სსრ ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ დადგენილი ნორმების შესაბამისად უზრუნველყონ სკოლა-ინტერნატები და საბავშვო სახლები კვების პროდუქტებით, განუხრელად შეასრულონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 13 იანვრის № 39 დადგენილება „საბავშვო სახლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა ინტერნატული დაწესებულებების აღსაზრდელთა კვების გაუმჯობესების შესახებ".

7. საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 23 მაისის № 335 დადგენილების შესაბამისად მიიღოს წილობრივი მონაწილეობა ქ. ქუთაისში ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატისა და ქ. თბილისში სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის მშენებლობაში ნავებობათა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ღირებულების 20 პროცენტის ოდენობით.

8. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, „ცეკავშირის" გამგეობამ, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინიტრომ, საქართველოს სსრ ხისა და ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ უზრუნველყონ საბავშვო სახლები და სკოლა-ინტერნატები რბილი და მაგა-

რი ინვენტარით, ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გამომუშავებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებას.

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებს საჭიროებისათვის 1982 წელს გამოუყოს 2 ავტობუსი, 6 საბარგო ავტომანქანა, 4 „მოსკვიჩი“ — ფურგონი, ხოლო მე-11 ხუთწლედის შემდგომ წლებში შესაძლებლობისდაგვარად გამოუყოს მათ ავტოსატრანსპორტო საშუალებები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი განაცხადის მიხედვით.

10. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ გამოუყონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინვენტარი და მოწყობილობა დანართის მიხედვით.

11. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად სამი თვის ვადაში შეისწავლოს საკითხი სპეციალური სკოლებისათვის დეფექტოლოგთა კადრების მომზადების შესახებ და სათანადო წინადადებანი წარუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

12. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ:

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების და სპეციალური სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, აღსაზრდელთა კვების, საყოფაცხოვრებო პირობებისა და კულტურულ-სამედიცინო მომსახურების შემდგომ სრულყოფას.

— დააკომპლექტოს ინტერნატული დაწესებულებები მაღალკვალიფიციური, სათანადო გამოცდილების მქონე პედაგოგიური კადრებითა და მომსახურე პერსონალით, იზრუნოს მათი კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლებისათვის;

— მიაღწიოს შრომითი სწავლების სახელოსნოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, ფართოდ დანერგოს ინტერნატულ დაწესებულებებში ავტოსაქმის, ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგროტექნიკისა და მეცხოველეობის საფუძვლების სწავლება. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სპეციალური სკოლების შრომითი სწავლების პროფილების განსაზღვრას და ანომალურ ბავშვთა პროფესიული ორიენტაციის საქმეს;

— ძირეულად გარდაქმნას რესპუბლიკური და ზონალური მედიკო-პედაგოგიური კომისიების მუშაობა, მიაღწიოს გონებრივ განვითარებაში დეფექტების მქონე აღსაზრდელთა დროულად გამოვლინებას და მიიზიდოს ისინი სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში;

— განახორციელოს მე-11 ხუთწლედში რესპუბლიკაში სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მშენებლობა № 2 დანართის მიხედვით;

— აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის დეკემბერში და 1985 წლის ნოემბერში.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. პატარიძე**

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 21 ოქტომბრის № 896 დად-
გენილების

დანართი № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დ ა ვ ა ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატებისათვის ინვენტარ-მოწყობილობების გამოყოფაზე

| ინვენტარის დასახელება | ზომის ერთეული | განაცხადი | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 1982 წელს | 1983 წელს | 1984 წელს | 1935 წელს |
| რკინის საწოლი | ცალი | 4000 | 4000 | 4000 | 4000 |
| სარეცხი მანქანა | " | 60 | 60 | 60 | 60 |
| როიალი | " | 15 | 15 | 20 | 20 |
| მაცივარი | " | 150 | 150 | 150 | 150 |
| შიდა სალაპარაკო კომუტატორი | " | 5 | 5 | 5 | 5 |
| ელექტრო უთო | " | 800 | 800 | 800 | 800 |
| მტვერსასრუტი | " | 140 | 140 | 140 | 140 |
| იატაკის საპრიალებელი | " | 170 | 170 | 170 | 170 |
| საკერავი მანქანა | " | 250 | 250 | 250 | 250 |
| ფიანდაზი | მეტრი | 250 | 250 | 250 | 250 |
| ხალიჩა | " | 300 | 300 | 300 | 300 |
| ელექტროქურა | ცალი | 26 | 26 | 26 | 26 |
| მადუღარა | " | 52 | 52 | 52 | 52 |
| კარადა-მაცივარი | " | 26 | 26 | 26 | 26 |
| ჰიგიენური მაგიდა სკამით | " | 450 | 450 | 450 | 450 |
| ელ. ხორცის მანქანა | " | 26 | 26 | 26 | 26 |
| კარტოფილის საფცქვნელი | " | 26 | 26 | 26 | 26 |

საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 21 ოქტომბრის № 896
დადგენილების დანართი № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავალება

## სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მშენებლობისა მე-11 ხუთწლედში

| №№ | ობიექტის დასახელება | სიმძლავრე (ბ/ადგილი) | სახარჯთაღრიცხვო ღირებულება | კაპდაბანდება და სიმძლავრეთა ექსპლუატაციაში გადაცემა მე-11 ხუთწლედში | | | | | | | | | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 1981 წ. | | 1982 წ. | | 1983 წ. | | 1984 წ. | | 1985 წ. | | |
| | | | | მოცულობა ათ. მ. | სიმძლავრე | მოცულობა ათ. მ. | სიმძლავრე | მოცულობა ათ. მ. | სიმძლავრე | მოცულობა ათ. მ. | სიმძლავრე | მოცულობა ათ. მ. | სიმძლავრე | |
| 1. | სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი ნუცუბიძის ქ. № 5 | 240 | 962 | 219 | | 256 | | 527 | 240 | — | — | — | — | |
| 2. | გურჯაანის რ-ნის სოფელ კარდანახის საბავშვო სახლი | 121 | 425 | 101 | | 304 | 121 | | | | | | | |
| 3. | საბავშვო სახლი ასპინძაში | 100 | 650 | | | 170 | — | 480 | 100 | — | — | — | — | |
| 4. | საბავშვო სახლი სოფელ ქურთაში ცხინვალის რ-ნი | 100 | 650 | — | | 126 | — | 524 | 100 | | | | | |
| 5. | ყრუ-ბავშვთა სკოლა-ინტერნატი ქ. ქუთაისში (ყრუ-მუნჯთა საზოგადოების წილობრივი მონაწილეობის ხარჯზე) | 220 | 900 | | | | | | | 200 | | 200 | | |
| 6. | ქუთაისის (გუმათის) დამხმარე სკოლა-ინტერნატი | 200 | 700 | | | | | | | | | 200 | | |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი

ალნიშნული დადგენილების ცხოვრებაში გატარების მიზნით
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 21 ოქტომბრის № 896 დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე ხელმძღვანელობისა და კონტროლის დასაწესებლად დამტკიცდეს კომისია (დანართი № 1), რომელსაც დაევალება ადგილებიდან ინფორმაციების მოსმენა და შედეგების მიხედვით შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

— მიიღონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ალნიშნული დადგენილება სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად;

— გააძლიერონ დახმარება და კონტროლი საბავშვო სახლების, სკოლა-ინტერნატებისა და სპეცსკოლების საქმიანობაზე;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ალნიშნული დადგენილების შესაბამისად შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი რესპუბლიკის ინტერნატული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციის, საყოფაცხოვრებო პირობებისა და კულტურულ-სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

3. ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა წარიმართოს კოლეგიის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით; მისი შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლი დაეკისროს საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილეს ამხ. მ. კობახიძეს.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1982 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილება.

**მინისტრი** **ო. ქინქლაძე**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1982 წლის 7 აპრილის № 364 ბრძანების

დანართი № 1

დამტკიცდეს კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. კობახიძე მანანა კალისტრატეს ასული — თავმჯდომარე, განათლების მინისტრის მოადგილე
2. თუთბერიძე ჰამლეტ მიხეილის ძე — თავმჯდომარის მოადგილე, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი
3. ბუკია გოდერძი კლიმენტის ძე — საქართველოს ალკკ ცკ მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე
4. ჯანელიძე ეთერ ვარლამის ასული — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების სამმართველოს უფროსი
5. ვარდოსანიძე გიგუცა ბესარიონის ძე — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი
6. კერესელიძე ომარ ლავრენტის ძე — საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსი
7. ძლიერიშვილი კობა ალექსის ძე — მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსი
8. აფხაზავა ბორის ვალერიანის ძე — კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი
9. მელაძე ვარლამ ნიკოლოზის ძე — სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს მეთოდური კაბინეტის დირექტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1982 წლის 7 აპრილის № 364 ბრძანების

დანართი № 2

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 21 ოქტომბრის № 896 დადგენილების შესასრულებელ ღონისძიებათა გ ე გ მ ა

| № | შესასრულებელი საკითხები | ვადები | შემსრულებელი |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1. | ქ. თბილისის სმენადაქვეითებულ ბავშვთა სპეცსკოლა-ინტერნატის, გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახის, ცხინვალის რაიონის სოფელ ქურთას და ასპინძის საბავშვო სახლების ექსპლუატაციაში გადაცემის უზრუნველყოფა. | 1983, 1982, 1983, 1983 წ. წ. (შესაბამისად) | კაპიტალური მშენებლობის განყოფილება |
| 2. | ქ. ქუთაისის ყრუ ბავშვთა სპეცსკოლა-ინტერნატისა და გუმათის დამხმარე სკოლა-ინტერნატის მშენებლობის დაწყების უზრუნველყოფა. | 1984, 1985 წ. წ. (შესაბამისად) | კაპიტალური მშენებლობის განყოფილება |
| 3. | კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი ლიმიტების ფარგლებში შრომითი სახელოსნოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფისათვის აუცილებელი სამუშაოების ჩატარება. | 1982—1985 წ. წ. | კაპიტალური მშენებლობის განყოფილება |
| 4. | სასწავლო-საცდელი და დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად ყაზბეგის, ახმეტის, გარდაბნის და თეთრიწყაროს რაიონების საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მიერ მიწის ნაკვეთების გამოყოფის უზრუნველყოფა. | 1/II-1/III 1982 წ. | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო |
| 5. | რესპუბლიკაში დეფექტოლოგთა კადრების მომზადების მიზნით სათანადო წინადადებების შემუშავება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში წარსადგენად. | 1/IV-1/V 1982 წ. | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო |
| 6. | საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად საკითხის მომზადება რესპუბლიკაში ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე აღსაზრდელთათვის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის შექმნის შესახებ. | 1/V-1/VI 1982 წ. | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო |

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 7. | საქართველოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან, რესპუბლიკის ყრუ-მუნჯთა და უსინათლოთა საზოგადოებებთან ერთად გონებრივი და ფიზიკური ნაკლის მქონე აღსაზრდელთათვის სასკოლო სახელმძღვანელოების, მეთოდური, დიდაქტიკური და სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოთა გამოცემის უზრუნველყოფა. | წლის განმავლობაში | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, სახელმძღვანელოების სამმართველო |
| 8. | სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში აღსაზრდელთა კვების სწორი ორგანიზაციის და ნორმით გათვალისწინებული პროდუქტებით უზრუნველყოფაზე კონტროლი. | სისტემატურად | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო |
| 9. | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სასწავლო კაბინეტებისა და ლაბორატორიების აღჭურვა სათანადო დიდაქტიკური მასალებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით. | წლის განმავლობაში | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, მომარაგების მთავარი სამმართველო |
| 10. | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების უზრუნველყოფა რბილი და მაგარი ინვენტარით. | წლის განმავლობაში | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, მომარაგების მთავარი სამმართველო |
| 11. | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების პედაგოგთა და ხელმძღვანელ მუშაკთა კადრების შემადგენლობის გაუმჯობესება. პედაგოგების, აღმზრდელებისა და სხვა მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სრულყოფა. | წლის განმავლობაში | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, კადრების სამმართველო |
| 12. | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების აღსაზრდელთა კულტურულ-სამედიცინო მომსახურების მდგომარეობის შემოწმება და მისი გაუმჯობესების და სწორი ორგანიზაციისათვის საჭირო ღონისძიებების დასახვა. | 1/II-1/IV 1982 წ. | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტრო |
| 13. | სპეცსკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში შრომითი სწავლების მდგომარეობის შესწავლა. ღონისძიებათა დაგეგმვა აღსაზრდელთა შრომითი სწავლებისა და აღზრდის ორგანიზაციის, პროფორიენტაციის, მასწავლებელთა ტექნიკური შემოქმედებისა და შრომითი სწავლების ახალი პროფილების დანერგვის მიმართებით. | 1/X-1/XI 1982 წ. | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო |
| 14. | რესპუბლიკური და ზონალური მედიკო-პედაგოგიური კომისიების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ორგანიზაცია. | 1/X-1/XI 1982 წ. | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტრო |

## РЕШЕНИЕ
## КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

**О мерах по дальнейшему совершенствованию материально-технической базы школ-интернатов, детских домов и специальных школ республики, улучшению питания, бытовых условий и культурно-медицинского обслуживания воспитанников**

**7 апреля 1982 года**

Совет Министров Грузинской ССР, рассмотрев вопрос о дальнейшем совершенствовании материально-технической базы, улучшении питания, бытовых условий и культурно-медицинского обслуживания воспитанников школ-интернатов, детских домов и специальных школ-интернатов (школ) республики, 21 октября 1981 года принял соответствующее постановление № 896.

В прилагаемой справке отмечено, что за последние годы, а именно в результате осуществления постановления ЦК КП Грузии от 27 февраля 1979 года «О работе Марткопской школы-интерната Гардабанского района» и постановления № 404 Совета Министров ГССР от 8 июня 1979 года «О состоянии работы детских домов и школ-интернатов республики для детей сирот и детей, оставшихся без попечения родителей и мерах по резкому его улучшению», значительно улучшились материально-техническая база, питание, бытовые условия и культурно-медицинское обслуживание воспитанников учебных учреждений вышеотмеченного типа.

Определенная работа проведена по линии рационализации сети школ-интернатов, закрылись три малокомплектных детских дома и две школы-интерната, реконструирована и капитально отремонтирована материальная база более 20-ти учебных учреждений интернатного типа, вступили в строй новое здание школы-интерната в Гудаутском районе, вспомогательная школа в г. Сухуми, спальный корпус Сурамского детского дома, полной реконструкцией охвачен Карданахский детский дом, в Коджорском детском доме № 1 Гардабанского района отстроена столовая, прачечная и баня, в Руставском детском доме-прачечная и баня, в Тетрицкаройской школе-интернате для детей-сирот и детей, оставшихся без попечения родителей, отстроена столовая и учебные мастерские, завершилось строительство водопровода для Марткопской школы-интерната.

По индивидуальному проекту строительство новых детских домов началось в Аспиндзе и селе Курта Цхинвальского района,

новая школа-интернат для слабослышащих детей строится в г. Тбилиси.

В XI пятилетке предусмотрено строительство специальных школ-интернатов в г. Кутаиси (для глухих детей) и в селе Гумати (для умственно отсталых детей), вступят в строй новые школы-интернаты в селах Омало и Шатили.

С целью дальнейшего совершенствования и укрепления материально-технической базы школ-интернатов, детских домов и специальных школ за последние 3 года затрачено более 7 миллионов рублей. В этот же период приобретен мягкий и твердый инвентарь на сумму 4, 2 миллиона рублей, на один миллион рублей — технические средства обучения, выделено 55 специальных и грузовых автомашин. 55%-ов учебных учреждений интернатного типа переведены на кабинетную систему обучения, благоустроено и надлежащим образом оснащено 60%-ов мастерских трудового обучения.

Сравнительно улучшилось дело комплектования интернатных учреждений педагогическими и медицинскими кадрами и повышения их квалификации. На сегодняшний день 90% педагогов и воспитателей, работающих в интернатных учреждениях, с высшим образованием. Разработана определенная система повышения квалификации педагогических кадров, особое внимание уделено делу повышения квалификации дефектологических кадров для специальных школ, в этом направлении деловое сотрудничество установлено со Всесоюзным научно-исследовательским институтом дефектологии АПН СССР.

Заслуживает внимания работа, проделанная для создания учебно-опытных участков и подсобных хозяйств при интернатных учреждениях. Это мероприятие, помимо улучшения организации питания воспитанников, эффективно используется по учебно-воспитательному назначению, для укрепления деловых и практических контактов с совхозами и колхозами, трудового воспитания и профессиональной ориентации учащихся.

Доход от подсобных хозяйств некоторых школ-интернатов и детских домов настолько значителен, что стало возможным увеличить расходы, предназначенные для питания и проведения капитального и текущего ремонтов. Но, что самое главное, продуктами, полученными от некоторых подсобных хозяйств, питаются не только воспитанники школ-интернатов, но и воспитанники учебных учреждений дошкольного и санаторного типа.

Примечательно, что интернатные учреждения республики на текущий год взяли возросшие обязательства. Помимо других сельскохозяйственных продуктов предусмотрено производство 150 тонн свинины, что составляет 25%-ов от общего количества мяса, потребляемого ими за год.

Значительно улучшилась помощь со стороны шефских организаций. С этой точки зрения особо следует отметить «Тбилгрэсс» и совхозы Зугдидского района, которые в прошлом году для капитального ремонта трех школ-интернатов района выделили 300000 рублей.

Вместе с тем, состояние материально-технической базы школ-интернатов, детских домов и специальных школ республики, питания, бытовых условий и культурно-медицинского обслуживания воспитанников все еще характеризуется значительными недостатками и не отвечает современным требованиям.

